„ფიატი" „ფერარის" ყიდის A3

თურქული ბაირამი გრძელდება A4

სააგარაკო ცხოვრების აუტანელი სიმსუბუქე A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | კვირა, 23 ივნისი, 2002 წელი. №21 | ფასი 50 თეთრი

## „24 საათის" სტუმარია და მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი



კობა ნარჩემაშვილი.

ბესო გულაშვილის ფოტო

### გვაცალეთ, ბატონო

- პიტერ შოუს ამ საქმესთან დაკავშირებით იმედიანად ვართ.

ერთი რამ მინდა ვთქვა: არის შემთხვევები, როცა ჟურნალისტს აძლევენ ინტერვიუს, რომ დაინახეს ესა და ეს მანქანა, ასეთი ნომრებით. ამგვარი დეტალები სერიოზულ პრობლემას გვიქმნის. ზოგჯერ, რაღაცაზე გვაქვს ხელი ჩაკიდებული და იმას მივყვებით. ამგვარი ინტერვიუებით კი დამნაშავეს ისეთ რამეზე ვუმახვილებთ ყურადღებას, რაც, შეიძლება, გამორჩა და ჩვენთვის კვალზე გასვლის საშუალებაა.

საქმეზე სერიოზულად ვმუშაობთ. შოუს, ან გამტაცებელთა ადგილ-სამყოფელი რომ ვიცოდე, აქ არ ვიქნებოდი. გვყავს ეჭვმიტანილთა წრე, თუმცა, დაკავებული არავინაა.

ხუთი დღეა გასული, რაც პიტერ შოუ გაიტაცეს და მიმაჩნია, რომ გაცილებით ნაკლები უნდა იყოს დაწოლა ხელისუფლებიდან, პრესიდან. ის, რომ ვიღაც საქმეს ცუდად აკეთებდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მეც ცუდად გავაკეთებ.

### როდის გადავა პოლიცია აღიარების მოპოვების ცივილურ ფორმებზე - 1

- პოლიცია უწყებაა, რომელსაც, თავისი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირი შეხება აქვს საზოგადოებასთან და შეხების მხარე ყოველთვის პრობლემატურია. არ ვამბობ, რომ პოლიცია ყოველთვის იცავს ადამიანის უფლებებს და კანონის ფარგლებში მოქმედებს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, კანონიერი შეხებაც კი საზოგადოების აგრესიასა და გაღიზიანებას იწვევს. ასე ხდება ყველგან. პოლიციისადმი დამოკიდებულება,

გაგრძელება A3 გვერდზე

## ცესკოს მძიმე დღეები ელის

თამარ მჭედლიშვილი

*ორშაბათს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მეტად მძიმე დღე ელის. დღის 12 საათზე დანიშნულ თათბირზე კომისიის წევრებმა საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულების გზები უნდა მოძებნონ. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, საარჩევნო ბიულეტენების გადათვლის წესი შეიმუშავონ.*

თათბირი ე.წ. მუშა ხასიათის იქნება და მასმედიის წარმომადგენლები მას არ დესწრებან. მიღებული გადაწყვეტილება კი ალბათ იმავე დღეს, უკვე საჯარო სხდომაზე გაჟღერდება.

და მაინც, სავსებით დასაშვებია, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბიულეტენების გადათვლის წესი ვერ შეიმუშავოს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საოლქო სასამართლომ კომისია ვადებში არ შეზღუდა, მაშინ ამ თემაზე მსჯელობა და კამათი დროში აშკარად გაიწელება.

ბიულეტენები, რომელიც კაცმა არ იცის, როგორ და რა პირობებში ინახება, ამომრჩეველთა სიების გადამოწმების პარალებულად უნდა გადაითვალოს. აქ კი საქმე გაცილებით რთულად არის – როგორც პარტიათა წარმომადგენლები ამტკიცებენ, უბნებიდან მოსული ოქმებიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ თუნდაც კენჭისყრისთვის მისული ამომრჩეველთა რიცხვი, ბათილი, გამოუყენებული და გამოყენებული ბიულეტენების რაოდენობა ერთიან ბალანსს ვერ ქმნის.

თავდაპირველად, როდესაც ცენტრალური საარჩევნო კომისია ბიულეტენების გადათვლის გადაწყვეტილებას იღებდა, თავად პროცედურაზე არავინ არაფერს ამბობდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ლეიბორისტებმა საკრებულოში გასულ პარტიებთან კონსულტაციები შეწყვიტეს

ორ ივნისს თბილისის საკრებულოს არჩევნებში გამარჯვებული "ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" პოლიტიკური მდივნის, ზურაბ ჟვანიას აზრით, დედაქალაქის საკრებულოს არჩევნების შედეგების გადასინჯვა გამოამჟღავნებს, რომ პარტიამ 5-7 პროცენტით მეტი ხმა მიიღო.

"არჩევნებში "თაღლითობით" თუ ვინმეს ხმები წაართვეს, ეს "ლეიბორისტული" პარტიაა, ამიტომ ამ პოლიტიკურ ორგანიზაციას ხმების ხელახალი დათვლა ხელს აძლევს," - უთხრა პრაიმ-ნიუსს ლეიბორისტმა ჟვანიამ.

მისი თქმით, პარტიას არც ერთი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის და რეგისტრატორის პოსტზე წარმომადგენელი არ ჰყოლია.

ამასთან, ჟვანიას განცხადებით, "ლეიბორისტები" როგორც თვითმმართველობის, ასევე 1999 წლის საპარლამენტო და 2001 წელს ვაკის რაიონის პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნების შედეგების გადათვლის საკითხს სვამდნენ.

"თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, რომელმაც თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგების გადასინჯვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, კონსულტაციები შეწყდა იმ 6 პარტიასთან, რომლებიც დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოში მოხვდნენ," - აღნიშნა ჟვანიამ.

ხმების ხელახალი დათვლა "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატიული ფრონტის" სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ გადაწყდა.

*პრაიმ-ნიუსი*

## თამაში თორმეტი კაცითაც შეიძლება




დამარცხებული ესპანელები მსაჯზე იწევენ.

REUTERS

## ბიუჯეტის შესრულების შემოწმება INTERNET-ითაც შესაძლებელია

გვანცა კვინიკაძე

*www.taxdep.ge - ამიერიდან ნებისმიერ მსურველს ამ მისამართზე შეეძლება საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის ვებგვერდის მონახულება და, შესაბამისად, მისთვის საინტერესო ინფორმაციის მიღება, მათ შორის, ისეთი მტკივნეულისაც, როგორიც საგადასახადო შემოსავლების ყოველთვიური გეგმის შესრულებაა. ვებგვერდი, რომელიც დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, მისი კომპიუტერული ცენტრის თანამშრომლების მიერ შეიქმნა, Internet-ში 17 ივნისიდან განთავსდა. მის სრულყოფაზე მუშაობა კვლავაც მიმდინარეობს. მალე ვებგვერდის ინგლისურ ვერსიაზე მუშაობაც დაიწყება, რაშიც დეპარტამენტს დახმარება ამერიკულმა "ბარენც ჯგუფმა" აღუთქვა.*

საგადასახადო დეპარტამენტის ვებგვერდის პრეზენტაციას სიამაყით გაუძღვა მისი თავმჯდომარე **იასე ზაუტაშვილი**. მისი თქმით, 21-ე საუკუნეში, როცა Internet-ის გარეშე საქმიანობა წარმოუდგენელია, ბუნებრივიც არის, რომ საგადასახადო დეპარტამენტმა საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების ამ თანამედროვე გზის შექმნაზეც იზრუნა.

ვებგვერდის შემქმნელთა ჯგუფის ხელმძღვანელის, **თენგიზ ცირეკიძის** განცხადებით, ეს სიახლე ნებისმიერი მომხმარებლისთვის იქნება საინტერესო. ვებგვერდის მთავარი და ქვემენიუები სრულ ინფორმაციას შეიცავს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, თითოეული გადასახადისა და საგადასახადო პროცედურების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია ისეა

გაგრძელება A2 გვერდზე

## ბლიც კრიგი აფხაზეთის წინააღმდეგ შეუძლებელია, - აცხადებს ვლადისლავ არძინბა

ზაზა წულაძე

*აფხაზეთის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ მოსკოვში ხანგრძლივი მკურნალობით გამოწვეული დუმილი დაარღვია და ხუთთვიანი გაუჩინარების შემდეგ, პირველი ინტერვიუ მისცა. მკურნალობას აფხაზების ლიდერისთვის შესამჩნევი კვალი არ დაუმჩნევია. იგი კვლავ კატეგორიულია და ამბობს, რომ აფხაზეთი არაფრის სანაცვლოდ არ დათმობს დამოუკიდებლობას. "ამის მიუხედავად, საქართველოსთან სამშვიდობო დიალოგის გაგრძელებას ალტერნატივა არ გააჩნია," – აცხადებს არძინბა მოსკოვის გაზეთ "ვრემია ნოვოსტეისთვის" მიცემულ ინტერვიუში.*

56 წლის ვლადისლავ არძინბამ, რომელიც თავის ტვინის უმძიმესი, ალცჰეიმერის დაავადებით არის ავად, განაცხადა, რომ მოსკოვში თითქმის ხუთთვიანი მკურნალობის შემდეგ (იგი მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში 31 იანვარს იქნა ჰოსპიტალიზებული) თავს კარგად გრძნობს და აფხაზეთში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები მოსალოდნელი არ არის. არძინბამ 1999 წელს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 99,9 პროცენტი მიიღო, იგი პრეზიდენტობის კანდიდატად პოლიტიკურმა მოძრაობა "აზშლიმ", აფხაზეთის რუსეთის თემების კონგრესმა და დედათა მოძრაობამ "მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობისთვის" წარადგინეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

საფეხბურთო ფორტუნა "ტორპედოსკენ" და "ტორპედოს" წინააღმდეგ A5

შენი თავგადასავალი ფილარმონიის ფოიეში A6

აიზეკ აზიმოვი - "სალი" A7

TV პროგრამა A8

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | ☼ |
| ქუთაისი | 29 | წვიმა |
| ბათუმი | 27 | წვიმა |
| სოხუმი | 28 | წვიმა |
| ფოთი | 28 | წვიმა |
| თელავი | 29 | ☼ |
| ზუგდიდი | 30 | წვიმა |
| გორი | 27 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2180 |
| ევრო | 2.1428 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.3274 |
| რუბლი | 0.0704 |

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 სპორტი | A5 სპორტი | A6 სტილი | A7 საკითხავი | A8 სხვადასხვა

# ცესკოს მძიმე დღეები ელის



ცესკოს სხდომა.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

**პირველი გვერდიდან**

პრობლემა უკვე მოგვიანებით გაჩნდა, როცა საუბარი რევიზიის წესს შეეხო. საგულისხმოა ისიც, რომ ცესკომ გადათვლის წესს დადგენილების სტატუსი მიანიჭა და მის მისაღებად ხმების ორი მესამედი დააწესა. ამან კი იდეაშივე გამორიცხა მისი მიღების შესაძლებლობა, ცესკოში უკვე განსხვავებული მოსაზრებები დაფიქსირდა. ერთი სიტყვით, ხმათა ორი მესამედის შეგროვება კომისიას აშკარად გაუჭირდა.

“აღორძინების” სამი წარმომადგენლიდან წინააღმდეგ ხმა ორმა მისცა, გადათვლა არ მოისურვა ჟვანიას გუნდის სამმა წევრმა და მომხრე მხოლოდ ხათუნა გოგორიშვილი აღმოჩნდა. “ლეიბორისტები” გადათვლის მაქსიმალურ გამჭვირვალობას ითხოვდნენ. ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის წარმოდგენელი კი დასაწყისშივე გაემიჯნა თავის კოლეგებს და განაცხადა, რომ ქვეყანაში მოქმედებენ უცხო ქვეყნის აგენტები, ისინი ზემოქმედებას ახდენენ პროცესებზე და ამ ფონზე ბიულეტენების გადათვლა ქვეყანაში უმართავ ვითარებას გამოიწვევსო.

ასე რომ, წესის მიუღებლობამ ცესკოს საკუთარი გადაწყვეტილების გაუქმება აიძულა. დღეს კი მან ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს. ალბათ, თავდაპირველად კომისია გადამთვლელი ჯგუფების შემადგენლობასა და რაოდენობაზე იმსჯელებს. პარტიები მზად არიან, ამ მიზნისათვის საკუთარი წარმომადგენლები დაასაქმონ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ პარტიებს ერთმანეთის არ სჯერათ. მაგალითად, ჯუმბერ პატიაშვილი აცხადებს, რომ მას ხმათა, მინიმუმ, 2-3 პროცენტი დააკლდა. შალვა ნათელაშვილი ამ ციფრს 7-მდე ზრდის. “სახალხოელებიც” ამტკიცებენ, რომ 4-პროცენტიანი ბარიერი მათ უპრობლემოდ დაძლიეს.

ამ ვითარებაში კი საკმაოდ რთულია რაიმე გადაწყვეტილების მიღება. მით უფრო, რომ საკრებულოს წევრთა რაოდენობა მკაცრად ლიმიტირებულია. თუკი ამომრჩეველთა სიების გადამოწმება და პროცენტების ხელახალი დათვლა მაინც მოხერხდა, მაშინ ქვეყანა ალბათ მაინც დადგება ახალი არჩევნების საშიშროების წინაშე.

# ბლიც კრიგი აფხაზეთის წინააღმდეგ შეუძლებელია, - აცხადებს ვლადისლავ არძინბა

აფხაზების ლიდერი ამბობს, რომ აფხაზეთი საქართველოსთან დიალოგისას არ წავა ისეთ კომპრომისზე, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებლობას ეჭვქვეშ დააყენებს. **“მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება აფხაზეთის პრეზიდენტი, არძინბა თუ ვინმე სხვა, საქართველოსთან მოლაპარაკების პროცესში აფხაზეთის პოზიცია ყალიბდება ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. აფხაზეთის მოქალაქეებს კი უკვე დიდი ხანია, ამ ინტერესების შესახებ მკაფიო წარმოდგენა ჩამოუყალიბდათ. ეს წარმოდგენა მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზი ხალხის ღირსეული ცხოვრების გარანტია მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოა,”** – აცხადებს არძინბა.

არძინბას აზრით, მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რის გამოც ამდენი ხანია, ქართულ-აფხაზურმა დიალოგმა შედეგი ვერ გამოიღო, არის აფხაზური საზოგადოების ყველა ფენის უკიდურესი უნდობლობა საქართველოს მიმართ. **“ჩვენი მოქალაქეები საქართველოში მუდმივ საფრთხეს ხედავენ, ეს დაახლოებას ხელს ვერ შეუწყობს. ჩემი პირადი კონტაქტები ბატონ შევარდნაძესთან თავიდან ჩემშიც გარკვეულ იმედებს აღძრავდა, მაგრამ 1998 წლის გალის მოვლენებმა და სულ ახლახან კოდორის ხეობაში ჩეჩნების გადასხმამ დამარწმუნა, რომ საქართველოს პოლიტიკა ამ წლების მანძილზე არ შეცვლილა. ამიტომაც ნდობა ჩემსა და შევარდნაძეს შორის ასევე მიუღწეველია.”** – მიაჩნია არძინბას, რომელიც, ამის მიუხედავად, ფიქრობს, რომ **“საქართველოსთან სამშვიდობო დიალოგს ალტერნატივა არ გააჩნია”.**

აფხაზების ლიდერი ქართულ-აფხაზურ დიალოგში კვალაც დიდ როლს ანიჭებს რუსეთის მონაწილეობის საკითხს. **“რუსეთის სამშვიდობო ძალების დამსახურებაა, რომ ბოლო ცხა წლის მანძილზე შევძელით, თავიდან აგვეცილებინა ახალი ომი. რუსეთის მონაწილეობა მოლაპარაკებების პროცესში რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტიაა. ჩვენ ვიზიარებთ რუსეთის ხელისუფლების პოზიციას, რომ რეგიონში მშვიდობის დასამკვიდრებლად აუცილებელია ტერორისტული ორგანიზაციების აღკვეთა, რომლებსაც საქართველოს სპეცსამსახურები მართავენ.”** – აცხადებს ვლადისლავ არძინბა.

პარალელურად, არძინბა შეშფოთებულია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოსთვის სამხედრო დახმარების გაზრდით. **“თბილისში ამერიკელი ინსტრუქტორების გამოჩენამ საქართველოს მმართველ ელიტაში უცებ გაზარდა რევანშისტული განწყობები. იქიდან გამომდინარე, რომ კავკასიაში პოლიტიკური სიტუაცია დინამიურად ვითარდება, არ არის გამორიცხული, შეიქმნას ისეთი ვითარება, როცა საქართველო მოინდომებს, აფხაზური პრობლემა ძალის გამოყენებით გადაჭრას”.** აფხაზეთის პრეზიდენტი ასევე აცხადებს, რომ სოხუმი არასოდეს დათანხმდება აფხაზეთში სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციას. **“საქართველოს მხოლოდ იმიტომ სურს რუსი სამშვიდობოების შეცვლა სხვა ქვეყნების ძალებით, რომ მოახერხოს აფხაზეთზე იურისდიქციის აღდგენა. ამიტომ ჩვენ ამას არასოდეს დავთანხმდებით”.**

არძინბა დარწმუნებულია, რომ საქართველოს არ შესწევს ძალა ელვისებური იერიშით, ე.წ. ბლიც-კრიგით დაიმორჩილოს აფხაზეთი. **“ამერიკაში 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, საქართველომ დაიწყო პროპაგანდისტული კამპანია აფხაზეთის ტერიტორიაზე “ალ-ქაიდას” ბოევიკების ყოფნის შესახებ. თბილისი ამით ცდილობს, მსოფლიოში აგორებული მძლავრი ანტიტერორისტული ტალღის გამოყენებით გადაჭრას აფხაზეთის პრობლემა. თუმცა, უკვე ყველასთვის ნათელია ამ განცხადებების აბსურდულობა. აფხაზეთის ტერიტორიის მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს გაერო, დსთ-ს სამშვიდობო ძალები, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და ისინი კარგად ხედავენ იმას, რომ ეს განცხადებები საქართველოს აფხაზეთში ახალი ომის გასაჩაღებლად სჭირდება. ბლიც-კრიგი აფხაზეთის წინააღმდეგ შეუძლებელია. მათ საქმე ექნებათ მთელ ერთან. ჩვენთან თადარიგის, ე.წ. შვეიცარიული სისტემა მოქმედებს, მამაკაცების უდიდეს უმრავლესობას სახლში კანონიერად აქვს იარაღი. ამის გარდა, თავდაცვის სამინისტროს საწყობებში უზარმაზარი შეიარაღება ინახება. ჩვენ რეგულარულად ვატარებთ სხვადასხვა სახის ჯარების წვრთნებს, შეკრებებს, რეზერვის მომზადებს. ვიწვევთ მაღალკვალიფიციურ სამხედრო მრჩევლებს, ანუ ვხელმძღვანელობთ ძველი სიბძრნით: თუ გინდა მშვიდობა – ემზადე ომისთვის”.**

## ეკონომიკა

# ბიუჯეტის შესრულების შემოწმება INTERNET-ითაც შესაძლებელია

**პირველი გვერდიდან**

მოცემული, რომ დამწყებ ბიზნესმენსაც კი მეტ-ნაკლებად გაუადვილდება ამ ჩახლართულ კანონმდებლობაში გარკვევა. ამავე მიზანს ემსახურება კითხვა-პასუხის რუბრიკაც, რომელშიც, საგადასახადო კოდექსიდან და შესაბამისი პროცედურებიდან გამომდინარე, უამრავ კითხვაზეა გაცემული პასუხი.

ვებგვერდის “სიამაყეს” მისი სტატისტიკური ნაწილი წარმოადგენს, რომელიც ჟურნალისტებისთვისაც მეტად საჭირო ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა. მომხმარებელს კი შესაძლებლობა აქვს, გაიგოს არა მარტო გასული თვის, არამედ წინა წლების, და ცალკეული თვეების მიხედვითაც კი, ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: ვებგვერდიდან შესაძლებელია საგადასახადო ფორმების ამობეჭდვაც და მათი საგადასახადო ინსპექციაში e-mail-ით გადაგზავნაც. თუმცა, ამ უკანასკნელი შესაძლებლობის ქართულ რეალობაში ფართოდ დანერგვა უახლოეს წლებში ნაკლებ სავარაუდოა. ამის მიზეზი მხოლოდ “ელექტრონული ხელმოწერის შესახებ” კანონის არარსებობა არ არის. ცნობილი ფაქტია, რომ ქართველ საგადასახადო ინსპექტორებს გადასახადის გადამხდელებისგან შევსებული ფაქტურის ტრადიციული მეთოდით, ხელიდან ხელში მიღება ურჩევნიათ.

მართალია, ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ვებგვერდი ჯერ ისევ სრულყოფის სტადიაშია, მაგრამ უკვე უდავოა, რომ Internet-ში ქართული, განსაკუთრებით კი, ეკონომიკური პროფილის რესურსების მწვავე დეფიციტის პირობებში, იგი საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება და არც “მნახველი” მოაკლდება.



# „ფიატი„ „ფერარის„ ყიდის

საავტომობილო გიგანტის, “ფიატის” ხელმძღვანელობა “ფერარის” აქციების 35 პროცენტის გაყიდვას გეგმავს, რათა ნაღდი ფული იშოვოს და ამ გზით დაფაროს დაგროვილი ვალები. ამის შესახებ განაცხადა კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა პაოლო ფრესკომ პარლამენტისთვის გაკეთებულ განცხადებაში. ასევე, ის ითხოვს, რომ მთავრობამ დაამტკიცოს ფინანსური შეღავათი იმ ავტომანქანების შეძენისთვის, რომლებიც არ აბინძურებენ გარემოს. ეს შეღავათიც “ფიატის” ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იმოქმედებს. ფრესკოს თქმით, “ფერარის” აქციების გაყიდვა მხოლოდ ნაწილია იმ გეგმისა, რომელიც “ფიატის” ექვსი მილიარდი ევროს ოდენობის ვალების შემცირებას ისახავს მიზნად.

ფრესკოს თქმით, თავიდან “ფერარის” აქციებს გასაყიდად მილანის საფონდო ბირჟაზე გამოიტანენ, შემდეგ კი, შესაძლოა, ისინი ნიუ-იორკისაზეც მოხვდნენ. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა დიდ ინტერესს იჩენს “ფერარის” აქციებისადმი, მაგრამ აქციების რეგისტრაციის პროცედურა იქ საკმაოდ რთული და ხანგრძლივია.

“ფერარის” გაყიდვის სურვილის შესახებ “ფიატმა” ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, მძიმე ფინანსური დანაკარგებისა და 2002 წლის პირველ კვარტალში კრედიტორების მიმართ ვალის საგრძნობლად გაზრდის შემდეგ გააკეთა განცხადება.

## უცხოეთი

# მიწისძვრა ირანის ჩრდილოეთში

სულ მცირე 200 ადამიანი დაიღუპა ირანის ჩრდილოეთ და დასავლეთ პროვინციებში მომხდარი მიწისძვრის შედეგად, რომლის სიმძლავრე, რიხტერის შკალით 6.3 ბალს აღწევდა. ამ მონაცემების მოწოდებისას ირანის ოფიციალური სააგენტო “ირნა” წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციის წარმომადგენლებს იმოწმებს.

შაბათს, დილით ადრე მომხდარმა მიწისძვრამ, დაახლოებით, რვა პროვინცია მოიცვა. განსაკუთრებით დიდია ნგრევა ყაზვინის პროვინციაში. მიწისძვრის ეპიცენტრი ყაზვინიდან სამხრეთ-დასავლეთით, 115 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. პროვინციის ქალაქ ავაჯში, სადაც, ძირითადად, გამოუწვავი აგურით ნაშენი სახლებია განლაგებული, ნგრევა განსაკუთრებით მასშტაბური იყო. ყაზვინი, ისევე როგორც დედაქალაქი თეირანი, ალბორზის მთიანეთის კალთებზეა განლაგებული. ამ მთიანეთში, დაახლოებით, ხუთიექვსი დიდი და სამოცამდე პატარა რღვევის ხაზია დაფიქსირებული. მიწისძვრა 10-მილიონიან თეირანშიც მძლავრად იგრძნობოდა. ზოგიერთ უბანში ელექტროენერგიის მიწოდებაც შეწყდა.

ირანში მიწისძვრები საკმაოდ ხშირად ხდება. ბოლო დიდმა მიწისძვრამ ირანის აღმოსავლეთ პროვინციაში, ავღანეთის საზღვართან, 1997 წლის 10 მაისს 1500-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

# ჩრდილოეთ კავკასიაში წყალდიდობაა

უკვე 26 ადამიანი დაიღუპა, ათობით დაშავდა და ათიათასობით უსახლკაროდ დარჩა წყალმოვარდნის შედეგად, რომელიც ბოლო დღეების თავსხმა წვიმებმა გამოიწვია. სტავროპოლის მხარეში ზარალი უკვე 20 მილიონი დოლარით განისაზღვრება. მოშლილია ელექტროგადამცემი ხაზების სისტემა, ზოგიერთ ქალაქს აღარ მიეწოდება სასმელი წყალი, მწყობრიდანაა გამოსული 10 ათასამდე საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობა, ხიდები.

პრეზიდენტმა პუტინმა რეგიონში მიავლინა საგანგებო ვითარებების მინისტრი სერგეი შოიგუ. მობილიზებულია სამხედრო ნაწილები, რომლებსაც ხიდებისა და ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენა დაევალათ.

რუსი მეტეოროლოგების პროგნოზით, ამინდი კიდევ უფრო გაუარესდება. წყალდიდობა კიდევ ორ დღეს გაგრძელდება. თავსხმა წვიმები მოსალოდნელია დაღესტანში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთშიც.

# ისრაელი პალესტინის კონტროლს აძლიერებს

შაბათს ისრაელის არმიამ პალესტინური ქალაქების პატრულირება გააძლიერა. წინა დღით პალესტინელებსა და ებრაელებს შორის სპონტანურ შეტაკებებში ხუთი ებრაელი და ცხრა პალესტინელი არაბი დაიღუპა. ებრაელი ჯარისკაცები სამხედრო ოპერაციებს განაგრძობენ ნაბლუსში, ჯენინსა და ბეთლემში. ალყაშემორტყმულია რამალა, კალკილია და ტულკრამი. დაძაბულობა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც პარასკევს ისრაელის არმიამ შეცდომით დაცხრილა ჯენინის ბაზარში სავაჭროდ მისული პალესტინელები, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. დაღუპულთა შორის რამდენიმე ბავშვიც იყო.

ამ კვირაში ისრაელის უსაფრთხოების კაბინეტმა გადაწყვიტა, რომ გაეხანგრძლივებინა პალესტინური დასახლებების ოკუპაცია. პალესტინაში დაპირისპირების გაღრმავებამ დაბნეულობა გამოიწვია შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში, სადაც ისრაელის მხარდამჭერი და მოწინააღმდეგე მრჩევლები პრეზიდენტ ბუშზე გავლენის მოხდენას ცდილობენ. ბუშმა დროებით გადადო თავისი გამოსვლა, რომელშიც პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო წინადადებები უნდა ჩამოეყალიბებინა.

# ბასკი სეპარატისტები ევროკავშირს დამოუკიდებლობას სთხოვენ

სევილიის სამიტის მიმდინარეობის ორი დღის განმავლობაში ესპანეთის სამ სხვადსხვა ქალაქში სამი ავტომანქანა აფეთქდა. დაზარალებულებს შორის რამდენიმე უცხოელია, მათ შორის, ბავშვებიც. უკანასკნელი აფეთქება სარაგოსას გარეუბანში, საზღვაო კურორტის მახლობლად მოხდა. ტერორისტულ აქტებზე პასუხისმგებლობა ბასკთა სეპარატისტულმა ორგანიზაცია “ეტა”-მ აიღო, რომელიც ამით პროტესტს გამოხატავს ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგ და სევილიაში შეკრებილი ევროკავშირის ლიდერებისაგან ბასკების სახელმწიფოს სუვერენიტეტის აღიარებას მოითხოვს.

1968 წლიდან მოყოლებული ბასკი სეპარატისტების ტერორისტულმა აქტებმა 800-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თავდაპირველად ბასკები დიქტატორ ფრანკოს რეჟიმის მხრიდან ჩაგვრას ებრძოდნენ, მოგვიანებით კი თავად გადავიდნენ შეტევაზე საკუთარი სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნით. ძალადობის ახლანდელი ეტაპი 2000 წლის იანვრიდან განახლდა, როდესაც ჩაიშალა საზავო შეთანხმება ბასკ სეპარატისტებსა და ესპანეთის მთავრობას შორის. წელს ესპანეთის უსაფრთხოების სამსახურებმა 100-ზე მეტი ბასკი სეპარატისტი დააპატიმრეს.

# სევილიის სამიტი იმიგრაციის წინააღმდეგ

სევილიის სამიტზე ევროკავშირის ქვეყნების მთავრობის მეთაურებმა მიიღეს არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ მოქმედების საერთო გეგმა, რომელიც იმიგრანტთა ნაკადის შემცირებას ითვალისწინებს. დიდ ბრიტანეთი, ესპანეთი და გერმანია მოითხოვდნენ, სანქციები შემოეღოთ იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც სათანადოდ არ ებრძვიან უკანონო ემიგრანტებს. ამის საწინააღმდეგოდ, საფრანგეთი და შვედეთი ღარიბი ქვეყნების მიერ იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სუბსიდირების იდეით გამოვიდნენ. ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები აპირებენ შეიმუშაონ ყველა ევროპული ქვეყნისთვის საერთო წესები, რომლებიც იმიგრანტების მიერ პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურას მოაწესრიგებს.

სევილიის სამიტის მიმდინარეობის დროს ქალაქში ანტიგლობალისტების გამოსვლები მოეწყო.



გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# „24 საათის„ სტუმარია და მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი





კობა ნარჩემაშვილი.

ბესო გულაშვილის ფოტოები

პირველი გვერდიდან

ცალსახად კარგი, არც ერთ ქვეყანაში არ არის.

რაც შეეხება წამებისა და ცემის ფაქტებს: არ უარვყოფთ, რომ ასეთი რამ ხდება. ყოველ გამოვლენილ ფაქტზე არის უმწვავესი რეაქცია, ყოველ შემთხვევაში - იმაზე მაინც, რაც ჩემამდე მოდის... კონკრეტულად კი, გენერალური ინსპექციის მონაცემებით, მარტო წელს, ოცდაათამდე თანამშრომელია დათხოვნილი შსს-დან და, მათ შორის, უმრავლესობა - ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისთვის, სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის; 14 მასალაა გადაგზავნილი პროკურატურაში და მათზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. არის, რა თქმა უნდა, რეაგირების გარეშე დარჩენილი საქმეებიც, მაგრამ ეს, უბრალოდ, არ მოსულა ჩვენს ყურამდე.

გასული წლის 5 თვესთან შედარებით, გენერალური ინსპექციის მონაცემებით, მას შემდეგ, რაც ცხელი ხაზი ამოქმედდა, 4-ჯერ უფრო მეტია დათხოვნილი და დასჯილი პოლიციელი. თუკი შარშან შემოწმებული მასალების 30 პროცენტია დამთავრებული, წელს ეს რიცხვი 70 პროცენტს აღწევს. პრაქტიკულად, პირველად პოლიციის ისტორიაში, გამოვიყენე წოდების ჩამორთმევისა და ჩამოქვეითების პრეცედენტი. ჩვენ შორს ვართ იდეალურისაგან, მაგრამ მიმაჩნია, რომ გარკვეულ შედეგებს მივაღწიეთ.

## სად მივყავართ კალაშოვის ნაკვალევს

- პოლიციას ეს საქმე წარმოებაში არ აქვს. ამიტომ, ის ვერ იქნება დაინტერესებული იმით, რომ კალაშოვის გვარი საერთოდ ამოვარდეს ნატახტართან დაკავებული იარაღისა და ნარკოტიკების საქმიდან.... ჩვენ აღმოვაჩინეთ ეს იარაღი, საქმე გადაეცა ჯერ სამხედრო პროკურატურას, შემდეგ გენერალური პროკურატურის საგამოძიებო აპარატს. ამიტომ, ყველა შემდგომი ღონისძიება იმ ორგანოსთანაა დაკავშირებული, რომელიც საქმეს იკვლევს. არ მახსენდება, ბოლო ხანს ვინმე დაეკავებინოთ იარაღის გადატანის ფაქტზე. ჩვენ ამ საქმეში პიონერები ვართ და არ ვიღებთ ჩვენს მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს. ვიმეორებ, დაინტერესებული ვარ იმით, რომ განურჩევლად პიროვნებისა, ვინც უნდა იყოს ის, კალაშოვი თუ სხვა ვინმე, გაირკვეს სიმართლე და ეს სიმართლე დაეყრდნოს რეალურ არგუმენტებს. ამ საქმეში არსებულმა ყველა პირმა უნდა აგოს პასუხი. ვისთანაც არ უნდა მიდიოდეს კვალი, უნდა მივიდეს ბოლომდე... არავის პრივილეგირება არ უნდა მოხდეს.

## იღებს თუ არა ნარჩემაშვილი ფულს კალაშოვისგან....

- ეს არის უმტკნარესი სიცრუე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სიმართლესთან. არც მინდა ამ ფაქტის კომენტირება. ეს აბსურდია. მე გეტყვით არგუმენტებს: სამხედრო პროკურატურამ, ღამის საათებში, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, დაკითხა კალაშოვი ისე, რომ ამის შესახებ არც გენერალურმა პროკურატურამ, არც უშიშროებამ, არც შინაგან საქმეთა სამინიტრომ არაფერი იცოდა. ის დაკითხეს და, როგორც მე ვიცი, უარყო ამ საქმესთან რაიმე კავშირი. ასე რომ, უბრალოდ, ეჭვის მიტანის საფუძველიც კი არ არის ჩვენზე.

## ოდიოზური პირები ისევ თანამდებობებზე არიან

**(იგულისხმება ბაკურაძე, სისაური, ბებია და სხვ.)**

- არის თუ არა ჩემი მიდგომა კადრებთან ზედმეტად ფრთხილი, ამას დრო გვიჩვენებს - ამაში დარწმუნებული ვარ.

ყოველ კონკრეტულ საკადრო გადაწყვეტილებას წინ უსწრებს პიროვნების შესწავლა. არის შემთხვევები, რომ გამოცდილი, სერიოზული კადრი მორალურად ამოწურავს თავის შესაძლებლობებს, ხოლო ახალგაზრდა, ამბიციური პიროვნება გაცილებით უკეთეს შედეგებს აღწევს. ამიტომ, თუკი მინისტრს ენდობა პრეზიდენტი, პარლამენტი, კიდეც უნდა მისცენ საშუალება, თავისი შეხედულებისამებრ გაატაროს საკადრო პოლიტიკა და თუკი არ ენდობიან, საერთოდ ნუ დანიშნავენ. არ შეიძლება მოხდეს ისე, როგორც, ვთქვათ, საბაჟო დეპარტამენტში – ჩემი წამოსვლის შემდეგ ხუთი უფროსი და ხუთი შემადგენლობა შეიცვალა. თუ კაცს ვენდობით, წელიწადნახევარი მაინც უნდა ვაცადოთ, მივცეთ საშუალება, რაიმე შეცვალოს და ქმედითი ღონისძიებები გაატაროს. აუცილებელია დრო.

იქითკენ მიგვყავს საქმე, რომ ცოტა ხანში საჯარო სამსახურში მუშაობის მსურველი აღარავინ დარჩება. არაფრად მიღირს, ბრალდებები მარტო იმიტომ წამოვიდეს ჩემი მისამართით, რომ მინისტრი ვარ. უფრო მეტს ნიშნავს ჩემი ავტორიტეტი, პრესტიჟი, სახელი და ქუჩაში თავისუფლად გასვლის საშუალება.

ზემოთ ნახსენებ პიროვნებებზე კი ვიტყვი: არც ერთი კონკრეტული ფაქტი არ არის, რომელიც მათ დანაშაულებრივ მოღვაწეობას ასახავს. თუმცა, სამსახურეობრივად, მათი შელახული იმიჯი საკმარისი იყო იმისთვის, რომ ამ სფეროდან ჩამომეცილებინა, მაგრამ არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ საერთოდ დამეთხოვა ორგანოებიდან. სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში, ისინი ადვილად აღიდგენდნენ თავს. ამიტომ, თუკი ჩვენ ერთი მხარისთვის ვითხოვთ ადამიანის უფლებების დაცვას, მეორე მხარისთვის ამ უფლების შელახვა არ შეგვიძლია.

## სად არის დაპირებული ქართული ˝ფებეერი˝...

- თანამდებობაზე ნოემბრის მეორე ნახევარში მოვედი. შვიდ დეკემბერს შევქმენი სამართალდამცავი ორგანოების ინსტიტუციონალური რეფორმების კომისია, რომლის მუშაობის დასრულების ვადად პირველი ოქტომბერი განისაზღვრა. ამ კომისიას პოლიციის, საგამოძიებო სტრუქტურების რეფორმირების კონცეფციის შემუშავება დაევალა. ქართული "ფებეერის" კონცეფცია დღესაც მიდევს. ამბობენ, რომ ეს ვილაცეების იდეა იყო. არ ვიცი, ვისი იდეა იყო, მაგრამ მეც მაქვს გარკვეული გამოცდილება და მიმაჩნია, რომ არც ისე ცუდად ვიცი, რა პრობლემები შეიძლება წამოიჭრას. არ გამოვრიცხავ, რომ ამ კონცეფციაში გარკვეული ცვლილებები შევიდეს. ჩვენი რეფორმა არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო უშიშროების, პროკურატურის რეფორმის, გამოძიების ახლებურად ორგანიზების გარეშე. ამიტომ, ამ პერიოდში მე და ჩემმა თანამოაზრეებმა, პირველ რიგში, მიზნად 2002 წელს დანაშაულის აღრიცხვის მოწესრიგება დავისახეთ. ვიცოდი, რასთან იყო ეს დაკავშირებული. პირველ რიგში, უნდა მიმეღწია იმისთვის, რომ არ დამალულიყო დანაშაული, რომელიც განვლილი 5 თვის პერიოდში 1062 ერთეულით არის მომატებული. მარტო ქურდობამ 700 ერთეულით მოიმატა და არ მითხრათ, იმიტომ მოიმატა, რომ ნარჩემაშვილია მინისტრი. ქურდობა შარშანაც იყო, იმის წინაც, მაგრამ იმალებოდა.

## პოლიციის უფროსებმა შვებით ამოისუნთქეს

- დანაშაულის დამალვა მარტო სტატისტიკის შელამაზებისთვის არ ხდებოდა. ეს უბედურება იყო. დღეისათვის 50-პროცენტიან გახსნაზე ჩამოვედით და ეს რეალურია. დამალავდა გამომძიებელი დანაშაულს და ჩნდებოდა შანსი, პროკურორი მასთან დანაშაულებრივ გარიგებაში შესულიყო. პოლიციის უფროსები მეუბნებიან, ამოვისუნთქეთო. მათი მუშაობის შეფასების კრიტერიუმი, სტატისტიკური მონაცემები კი არა, ხარისხი და მაჩვენებელი იქნება. 2002 წლამდე არ გვქონდა ზუსტი სტატისტიკა. დღეს ვენახის სარის ქურდებიც კი აღირიცხებიან...

## საფინანსო სამსახურის უფროსის ვასილ დავითაიას უწყება ˝უპაგონოდ˝ რჩება

- ვფიქრობ, რომ აუცილებელია საფინანსო-სამეურნეო სამსახურის რეორგანიზება. კარგი იქნებოდა, თუ კომისიის მუშაობას ჟურნალისტებიც დაესწრებოდნენ. ნახავდით, რამდენი ნიუანსია ყოველი გადაწყვეტილების უკან, რამდენი კანონპროექტია მოსამზადებელი, რამდენი მცირე დეტალია, რომელთა გათვლის გარეშე შეუძლებელია, რაიმე რეფორმის გატარება. მიმაჩნია, რომ საფინანსო-სამეურნეო სამსახურის სამოქალაქო სამსახურად გადაკეთება აუცილებელია. ამაზე მუშაობა უკვე დავიწყეთ. სხვათა შორის, შსს-ში კიდევ არის რამდენიმე არაპოლიციური სამსახური.

## პოლიციელები და ქურდები...

- რესტორან "ლორდში", ამ ცოტა ხნის წინათ, კანონიერი ქურდების თავყრილობაზე, ქალაქის პოლიციამ რამდენიმე პირი აიყვანა, არც აყვანისა და არც გაშვების ფაქტი ქალაქის პოლიციის მაშინდელმა უფროსმა კახა ბაკურაძემ არ შემატყობინა. ასე რომ, ვერანაირად ჩავერეოდი გათავისუფლების საქმეში. ოპერაცია განხორციელდა, მაგრამ დანაშაული ვერ დაუმტკიცდათ და გაუშვეს. ამის გამო ბაკურაძემ ჩემგან საყვედური დაიმსახურა. თუ კრიმინალს აიყვან, მაშინ მისი დაკავების საფუძველიც უნდა გქონდეს.

"ავტორიტეტებთან" ურთიერთობა, მძევლების გამოხსნისას თუ საკადრო საკითხების გადაწყვეტისას, ჩემთვის ყოვლად მიუღებელია. ვერ წარმომიდგენია საფასური, რომელსაც ასეთ პოლიციელს სთავაზობენ. არც პანკისში, არც არსად, ჩემს მიერ ჩატარებული მოქმედებებისას, მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. ყველა შემთხვევაში ვიყავით კატეგორიული და ულტიმატუმის ენით ვსაუბრობდით მათთან. ჩემი საქმიანობის მანძილზე ეს თემა ტაბუდადებული იქნება, მითუმეტეს - საკადრო საკითხების გადაწყვეტისას.

## როდის გადავა პოლიცია აღიარების მოპოვების ცივილურ ფორმებზე - 2

- დღეისათვის ორი ისეთი პროექტი ხორციელდება, რომლის პრეცედენტიც არ ყოფილა. არასამთავრობოებმა მოიპოვეს წინასწარი დაკავების საკნების მონიტორინგის უფლება.

გენერალური ინსპექცია კატეგორიულია თავისი მოთხოვნებისას. ყოველი ცემისა და წამების ფაქტს მკაცრი რეაგირება მოჰყვება.

ძნელია ამდენი კადრის მოძებნა. ფიზიკურად არ არის კვალიფიციური კადრები. რომ მეუბნებით, არასამთავროებიდან დანიშნეთო, არ გეწყინოთ და, ცოტა ხანში ისინი გაიქცევიან. ამაზე მიფიქრია, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. პოლიციურ საქმიანობას სულ სხვა გამოცდილება სჭირდება და არა ის გამოცდილება, რაც თქვენ ირონიულ ჩაცინებაში იგულისხმეთ.

---

*კრიმინალი*

## ოლგა გორელიკი გათავისუფლებას ითხოვს

არასრულწლოვანი ბავშვებით ვაჭრობის ბრალდებით მსჯავრდებული ოლგა გორელიკი მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებს და, საოლქო სასამართლოში შეტანილი სააპელაციო საჩივრით, გამამართლებელ განაჩენს ითხოვს.

საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატა, ისევე, როგორც მსჯავრდებული და მისი ადვოკატი, საქმეში არსებული დეტალების გადახედვასა და დაზუსტებას ცდილობს.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე ქალაქის პროკურატურის გამომძიებელი მერაბ გოგლიძე და სისხლის სამართლის სამძებროს ყოფილი უფროსი მერაბ ბაღათურია მოწმეებად უნდა დაეკითხათ. თუმცა, პროცესზე არც ერთი მათგანი არ გამოცხადდა. მერაბ გოგლიძისგან სასამართლოს საპატიო მიზეზით არგამოცხადების შეტყობინება მოუვიდა. "მაღალი წნევის გამო, სასწრაფო დახმარებამ ძლიერი პრეპარატით უმკურნალა და შეუძლოდ გახლავთ," - ასეთი იყო შეტყობინების შინაარსი. მერაბ ბაღათურიას შესახებ კი სასამართლო კოლეგიამ ვერაფერი შეიტყო.

**"საქმეში უამრავი გაურკვეველი დეტალია დასადგენი. გამომძიებელთა დაკითხვა აუცილებელია, მაგრამ ისინი, ჯერჯერობით, თავს არიდებენ სასამართლოს. გასარკვევია ბრალეულობის მტკიცებულებების მოპოვების ფაქტები."** - აცხადებს ოლგა გორელიკის ახალი დამცველი დავით დადიანი.

## დაიჭირეს ეკლესიის ქურდი

გუშინ პოლიციამ დააკავა ტყიბულელი ბუხული გოტიაშვილი, რომელმაც გორისჯვრის წმინდა გიორგის ეკლესია გაქურდა. კანონდამცველებმა მისი სახლიდან ამოიღეს ეკლესიიდან მოპარული ხატები – 18 - ღვთისმშობლის, სამი - წმინდა გიორგის, შვიდი - მაცხოვრის, ქრისტესშობის ერთი ხატი და ერთიც სპილენძის ჯვარი. წმინდა გიორგის ეკლესია უკვე მეხუთედ გაიქურდა. სამართალდამცველთა ვარაუდით, ხუთივე შემთხვევაში ეკლესია ბუხული გოტიაშვილმა გაძარცვა.

## „ბოევიკი„ სამტრედიაში

სამტრედიაში ამერიკული მძაფრსიუჟეტიანი "ბოევიკის" სცენარი გათამაშდა. გუშინ ქალაქის ცენტრში მდებარე დიაგნოსტიკურ-კვლევით ცენტრ "იულონში" ორი ავტომატით შეიარაღებული ნიღბიანი თავდამსხმელი შევარდა. მათ ფულის მოთხოვნის ბრძანებას ავტომატის ჯერიც მიაყოლეს. სროლისას ერთმა თავდამსხმელმა - ზაზა კალაძემ მეგობარი მამუკა ტალაბაძე მძიმედ დაჭრა და თავადაც ფეხის არეში დაიჭრა.

დაჭრილი მძარცველები პოლიციამ სამტრედიის საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც ისინი მკურნალობის კურსს პოლიციის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ გადიან.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია AKC-ის სისტემის ორი ავტომატი, 2 მჭიდი და 23 ვაზნა. გამოჯანმრთელებისთანავე მძარცველებს იზოლატორში გადაიყვანენ.

*საერთაშორისო კრიმინალი*

## მესაზღვრეებმა კონტრაბანდისტები დახოცეს

რუსმა მესაზღვრეებმა დააკავეს ავღანეთიდან და ტაჯიკეთიდან გამოსული მსხვილი ნარკოტიკული პარტია. მესაზღვრეებმა ტაჯიკეთის მდინარე პიანჯის უკანონოდ გადალახვისას დააკავეს 4 პირი, რომლებსაც 8 ყუთი ნარკოტიკული ნივთიერება აღმოუჩინეს. კონტრაბანდისტებმა მოკლეს ერთი მესაზღვრე, რის შემდეგაც მესაზღვრეთა მიერ გახსნილი ცეცხლისას დაიღუპა ორი კონტრაბანდისტი.

## გენერალური პროკურორი დიპლომატებს პირადად დაეხმარება

რუსეთის გენერალურმა პროკურორმა ვლადიმირ უსტინოვმა უცხო ქვეყნების ელჩებთან შეხვედრისას პირობა დადო, რომ იგი პირადად იზრუნებს უცხოელთა უსაფრთხოებაზე.

გენერალურ პროკურორთან შეხვედრა თავად დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა მოთხოვნით შედგა. მათი შეშფოთების მიზეზი გახდა რუსეთში გახშირებული თავდასხმები უცხოელ მოქალაქეებზე.

რუსეთის გენერალურმა პროკურორმა დიპლომატებს თხოვა, რომ ნებისმიერი ფაქტი, რომელიც უცხოელებზე თავდასხმასთან იქნება დაკავშირებული, პირადად მას შეატყობინონ. გარდა ამისა, პროკურორმა გასცა ბრძანება, კანონდამცველებმა შეიმუშაონ უცხოელთა უსაფრთხოების გასაძლიერებლად საჭირო ღონისძიებები.

## სამხრეთ კორეის პრეზიდენტის ორივე შვილი პატიმარია

ერთი თვის წინ სამხრეთ კორეის პოლიციამ მათი პრეზიდენტის უმცროსი ვაჟი მექრთამეობისთვის დააკავა. კანონდამცველებმა გუშინ დააკავეს პრეზიდენტის მეორე შვილიც. გავრცელებული ვერსიით, სამხრეთ კორეის პრეზიდენტის უფროსმა ვაჟმა სოლიდური ფირმის მეპატრონეებისგან აიღო 2 მილიონი ევრო, რომლის საზღაურადაც მათთვის მფარველობა უნდა გაეწია.

სკანდალთა სერიამ, რომელიც პრეზიდენტის შვილების კორუფციაში მოღვაწეობას მოჰყვა, ქვეყნის მეთაურის იმიჯიც სერიოზულად შეარყია.

## ვიცე-გუბერნატორი მექრთამეობაში დაადანაშაულეს

კრასნოიარსკის პროკურატურამ გუშინ ბრალი წაუყენა გასულ კვირას დაპატიმრებულ მხარის ვიცე-გუბერნატორს ვალერი მელაძეს.

იგი ახლა უკვე ოფიციალურადაა ბრალდებული დიდი რაოდენობით ქრთამის აღებაში. მელაძის გარდა, რუსეთის პროკურატურამ ბრალი წაუყენა კრასნოიარსკის გუბერნატორის თანაშემწესაც. ორივე პატიმარი კრასნოიარსკის წინასწარი პატიმრობის საკანში იმყოფება.

## უკრაინამ ბავშვებით ვაჭრობის არხი დაკეტა

უკრაინის სამართალდამცველმა ორგანოებმა რუსეთ-უკრაინის საზღვარი სპეცრაზმებით გაამაგრეს.

უკრაინის უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, უკრაინის საზღვრის გადალახვით უკრაინელი და, ასევე, პოლონელი და რუსი ბავშვები გადაყავდათ მოსკოვში, საიდანაც თვითმფრინავით მიყავდათ აშშ-ში. კანონდამცველთა განცხადებით, ბავშვებს 5-7 ათას დოლარად ყიდიან და საზღვარგარეთ გაჰყავთ, ვითომდა, საქველმოქმედო ან კულტურული ღონისძიებების ეგიდით.

ერთ-ერთი მსგავსი შემთხვევისას ბავშვებით მოვაჭრეებს დაეხმარა ვინიცკელი მღვდელი, რომელმაც განაცხადა, რომ უცხოეთში ბავშვები საგალობლად მიყავდათ.

უკრაინელი სამართალდამცველები მუშაობენ ვერსიაზე, რომლის მიხედვითაც გაყიდული ბავშვები სექსუალური ინდუსტრიისა და ტრანსპლანტაციისთვის გამოიყენებიან.

# კორეომანია - თამაში თორმეტი კაცითაც შეიძლება




## მეოთხედფინალი
## ს. კორეა 5:3 პენ (0:0) ესპანეთი




**მსაჯი:** *ჯამალ ღანდური (ეგვიპტე)*
**სტადიონი:** *კვანჯუ*
*42114 მაყურებელი*

მუნდიალი ტრადიციას არ ღალატობს: სენსაციები გრძელდება!

ზუსტად ვერ გეტყვით, რა ამოძრავებდა მატჩის ეგვიპტელ არბიტრს, ესპანელთა გოლები რომ არ ჩათვალა, მაგრამ მისმა ნამოქმედარმა კორეელებს რომ მისცა ნახევარფინალში გერმანელებთან თამაშის შანსი, ეს ფაქტია. ვერც იმას გეტყვით, როდემდე გაგრძელდება ასე. ერთი კია: ამ მსოფლიო ჩემპიონატზე ევროპელები და სამხრეთამერიკელები ისე ვეღარ ბატონობენ, როგორც აქამდე იყო და, ვინ იცის, 2010 წელს, აფრიკაში გასამართ მუნდიალზე, რა ამბები დატრიალდება. დღეს კი, 2002 წლის ტურნირზე, ბრაზილია და გერმანია თუ დაიცავენ საფეხბურთო ქვეყნების პრესტიჟს.

**გუს ჰიდინკი** *(სამხრეთ კორეის ნაკრების მწვრთნელი): "სიტყვებით ვერ გადმოგცემთ იმ მდგომარეობას, რომელშიც ახლა ვიმყოფები. ეს არ არის უბრალოდ ბედნიერება, ეს რაღაც უფრო მეტია. შემიძლია ვთქვა, რომ ამაზე ვერც კი ვიოცნებებდი. ვამაყობ ჩემი ბიჭებით. მათ შესაშური ენერგია გამოავლინეს. ახლა დავისვენებთ, შამპანურით ჩვენს დღევანდელ გამარჯვებას აღვნიშნავთ და გერმანელებთან მატჩისთვის მოვემზადებით. რასაც ჩვენ მივაღწიეთ, გმირობაა, მაგრამ, ვგრძნობ, კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია".*

**ხოსე ანტონიო კამაჩო** *(ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი): "ვფიქრობდი, მეოთხედფინალში უკეთესი მსაჯები იქნებოდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლეთ, ორი გოლიც გავიტანეთ, მაგრამ არც ერთი არ ჩაგვითვალეს. ძალიან სამწუხაროა, რომ გამოვეთიშეთ ასპარეზობას და ესპანელ გულშემატკივრებს გული დავწყვიტეთ. სიმართლე გითხრათ, ვიცოდი, რომ მსაჯები კორეელებს წაეხმარებოდნენ, მაგრამ ამას თუ ასე აშკარად გააკეთებდნენ, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ეს სკანდალია, სხვა არაფერი".*



# თურქული „ბაირამი" გრძელდება




## მეოთხედფინალი
## სენეგალი 0:1 თურქეთი




**გოლები:** 0:1 ილჰანი (94, ოქროს გოლი)
**მსაჯი:** ოსკარ ლუისი (კოლუმბია)
**სტადიონი:** ნაგაი
44233 მაყურებელი

თურქეთში "ბაირამი" მაშინ დაიწყო, როცა ამ ქვეყნის ნაკრებმა ტურნირის მასპინძლები, იაპონელები დაამარცხა. გუშინდელი დღე კი დიდხანს დარჩება თურქი გულშემატკივარის მახსოვრობაში. ამ ქვეყნის ნაკრებმა აქამდე არნახულ სიმაღლეებს მიაღწია. თურქებს მადა გაეხსნათ და სენეგალთან შეხვედრის წინ არც მალავდნენ, რომ ნახევარფინალში გასვლა განიზრახეს.

პრინციპში, თურქებს დასაქადნებლად ჰქონიათ საქმე. სენეგალელებმა მხოლოდ პირველ 20 წუთში აჩვენეს, რომ მეოთხედფინალში შემთხვევით არ მოხვდნენ. დანარჩენი დრო კი თურქების სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და ჰაკან შუქურს უფრო ზუსტად რომ ეთამაშა, იქნებ დამატებითი დრო საჭირო არც გამხდარიყო. ასეა თუ ისე, თურქებმა ოცნება აისრულეს და ნახევარფინალში ბრაზილიის ნაკრებზე რევანშის აღების შანსი გაუჩნდათ.

**ბრუნო მეტსიუ** *(სენეგალის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "ყოველთვის ძნელია, როცა თამაშს "ოქროს გოლით" წააგებ, მაგრამ ჩვენ დიდი ტურნირი ჩავატარეთ. ვეთამაშეთ ისეთ დიდ გუნდებს, როგორებიც არიან საფრანგეთი, დანია, ურუგვაი და შვედეთი. მიღწეული შედეგი მომავლის იმედს გვაძლევს".*

**ელ ჰაჯი დიუფი** *(სენეგალის ნაკრების ფორვარდი): "სამშობლოში თავაწეულები მივდივართ. ასეთია ღმერთის ნება. ძალიან გვიჭირს. საგოლე მომენტი ორივე გუნდმა საკმაოდ შექმნა. ილბლიანმა კი გაიმარჯვა".*

**შენოლ გიუნეში** *(თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით და, რაც დავგეგმეთ, ყველაფერი შევასრულეთ. ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში ეს ყველაზე დიდი მოვლენაა".*

**მანსიჟ ილჰანი** *(თურქეთის ნაკრების ფორვარდი): "მას შემდეგ, რაც ასე შორს წავედით, მივხვდით, რომ ჩვენზე ძლიერი აქ არავინაა. გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია. ჩვენ ახლა ნახევარფინალში ვართ. სენეგალთან მოგება აუცილებლად გვინდოდა და გვჭირდებოდა".*



*ექსპერტი*

## ომარ თეთრაძე: კოლოსკოვის დაბრუნებას ველით. ბრაზილია კი შანსს ხელიდან არ გაუშვებს

რუსეთის ნაკრების მარცხმა მოსკოვში დიდი არეულობა გამოიწვია. რომანცევის ბედი მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისა და იაპონია-კორეიდან კოლოსკოვის დაბრუნების შემდეგ გაირკვევა. სავარაუდოა, რომ ნაკრების მწვრთნელი შეიცვლება, შესაბამისად, შეიცვლება ბირთვიც. რუსეთის ნაკრები შემოდგომაზე თბილისში ჩამოვა. ნაკრებში მოხვედრის სავსებით რეალური შანსი აქვს ომარ თეთრაძეს, რომელიც რომანცევმა ნაკრებს მიღმა დატოვა. თეთრაძე ვლადიკავკაზის "ალანიასთან" ერთად მოსკოვში, შეკრებაზე იმყოფება. ჩვენთან სატელეფონო საუბარში მან აღნიშნა:

"რომანცევის ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა. რუსეთის ფეხბურთში, ყველაფერს თუ არა, ბევრ რამეს კოლოსკოვი წყვეტს. ცოტა ხანში კოლოსკოვი მოსკოვში ჩამოვა და ყველაფერი გადაწყდება. მე ნაკრებში მოხვედრის კარგი შანსი მომეცა და, ვეცდები, მაქსიმალურად მოვემზადო. ჩემპიონატის მსვლელობამ ნათლად დაგვანახა, რომ თანამედროვე ფეხბურთმა დიდი პროგრესი განიცადა. სენეგალი, კორეა, იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები ევროპულ ფეხბურთზე გადაეწყვნენ და წარმატებასაც მიაღწიეს. განსაკუთრებით საოცარია ამერიკელთა პროგრესი. მათ ფეხბურთის თამაში 1994 წლის შემდეგ დაიწყეს და, მართლაც, საოცარი გზა გაიარეს. გერმანელებმა დიდი გაჭირვებით მოიგეს.

ჩემპიონატის ყველაზე საინტერესო შეხვედრა ბრაზილიასა და ინგლისს შორის გაიმართა. მათი დაპირისპირება ყოველთვის საინტერესოა. მით უმეტეს, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში. მართალი გითხრათ, ბრაზილიის ნაკრებისგან მეტს ველოდი. განსაკუთრებით ბელგიასთან შეხვედრამ გამაწბილა. თუმცა, ამ გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს, რისი გამოყენება საბოლოოდ შეძლო კიდეც. კვლავ გვიწევს მსაჯობაზე საუბარი. მთლიანობაში კი ჩემპიონატი საინტერესოდ, დაძაბულად და, რაც მთავარია, შედეგიანად მიმდინარეობს. ტურნირის უდავო ფავორიტად ბრაზილიის ნაკრები მიმაჩნია. მათ იოლად, თანაც, 10 კაცით დაამარცხეს ინგლისი. სქოლარის გუნდს კიდევ შეუძლია მომატება. არა მგონია, ბრაზილიამ ეს შანსი ხელიდან გაუშვას."

## ნახევარფინალზე მოგვიანებით, ახლა შამპანურის დროა

დერეკ ფოლი
იაპონია კორეიდან
სპეციალურად
"24 საათისათვის"

სამხრეთ კორეა ნახევარფინალისტია! მილიონჯერაც რომ გავიმეორო ეს ფრაზა, ძახილის ნიშანს მაინც დავუსვამდი.

"ნახევარფინალზე მოგვიანებით ვიფიქრებთ. ახლა ცოტაოდენი შამპანურის დროა", – ეს ფრაზა გმირადქცეულ მწვრთნელს, გუს ჰიდინკს ეკუთვნის.

მწვრთნელი არც ცდება. კორეის ნაკრები დასვენებას და თაყვანისცემას მართლაც იმსახურებს. ეს მათ არც დააკლდებათ. გერმანიასთან შეხვედრამდე (თუ უკვე შეხვედრის შემდეგ აღარ) კორეელ ფეხბურთელებს გააღმერთებენ და გააკერპებენ ფანები, ჟურნალისტები და ოპოზიციონერებიც კი.

თუმცა, მოდით, სიმართლე ვთქვათ – ესპანეთთან მატჩში კორეის ნაკრებს არც განსაკუთრებული ნიჭი გამოუვლენია და არც ფანტასტიკური ტრიუკებით გაუოცებია მაყურებელი. მათ, უბრალოდ, მაგრად ითამაშეს და ფიზიკური გამძლეობაც გამოამჟღავნეს. 90-ე წუთზე ესპანელები უკვე მკვდრებივით იყვნენ, მასპინძლები კი ფუტკრებივით მუშაობდნენ. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ეგვიპტელ მსაჯს ბევრი რამ ეშლებოდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ფერნანდო მორიენტესს გოლი არ ჩაუთვალა.

და მაინც, ისმის კითხვა – რატომ გაიმარჯვა კორეამ? ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, შესაძლოა, მომძლავრებული ადრენალინი იყოს – კორელეები სახლში თამაშობდნენ, ესპანელები კი მენტალურად შინ წასასვლელად უკვე მზად იყვნენ. შინაგანად იცოდნენ, რომ ჩემპიონატის მოგება მათ ძალებს აღემატებოდა, ირლანდიასთან მიღწეული გამარჯვება კი მხოლოდ მათი ბედისწერის გადავადება იყო.

თუმცა, ესპანელებმა პენალტების სერია გაცილებით უკეთ ჩაატარეს, ვიდრე ირლანდიასთან მატჩში. პირველი დარტყმა ისევ იერომ და ბარახამ შეასრულეს, ზუსტად ისეთივე შედეგებით. სამხრეთ კორეელებს კი ეტყობოდათ, რომ ბევრი ევარჯიშათ – მშვენიერ დარტყმას, მორიგი მშვენიერი დარტყმა ცვლიდა.

ერთი სიტყვით, აშკარად იგრძნობოდა გუს ჰიდინკის ჯადოსნური ხელი. როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ეს ჰოლანდიელი სპეციალისტი მსოფლიოში ყველაზე სასურველი მწვრთნელი გახდა. მის გადაბირებას ყველა იტალიური, ორი ესპანური, ჰოლანდიური (კერძოდ კი "აიაქსი), ბერძნული, თურქული და არაბული კლუბები ცდილობენ. ბუნებრივია, ჰიდინკს მეფის საკადრის თანხას შესთავაზებენ. თუ კიდევ ერთ წელიწადს დაიცდის, შესაძლოა, ჰოლანდიელს "მანჩესტერ იუნაიტედიც" დაუკავშირდეს.

როგორც ცნობილია, ალექს ფერგიუსონი წასვლის პირას დგას. გავრცელებული ხმებით, მას წასვლამდე მეორე ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს, რათა მისი სახელი სერ მეტ ბასბის, ბობი ჩარლტონის და ჯორჯ ბესტის სახელებს გაუთანაბრდეს.

ასე რომ, წარმატებებს ვუსურვებთ ჰიდინკს. ჰოლანდიელის შემდეგ, პირველ გმირად იქცა ანი.

ესპანეთი-კორეის მატჩის შემდეგ, გვანჯუს სტადიონზე სატრანსფერო სააგენტოს წარმომადგენელს ვესაუბრე და, როგორც მან მითხრა, ჩემპიონატის შემდგომი ტრანსფერებისას ანი ერთ-ერთ ყველაზე სარფიან კონტრაქტს მოიპოვებს. მისი თქმით: "მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ფეხბურთელთა უმრავლესობას ან ფასი ემატება და ან აკლდება. ჩემპიონატამდე ფეხბურთელების – დენის რომედალის (დანია), პაპე ბოუბა დიუფის (სენეგალი), ბრაიან მაქბრაიდის (აშშ), ჯუნიჩი ინამოტოს (იაპონია), ჰასან შაშის (თურქეთი), გარი ბრინის (ირლანდია), მარკ ვილმოტსის (ბელგია), ანდერს სვენსონის (შვედეთი) და მიროსლავ კლოზეს (გერმანია) – შოვნა საკმაოდ იაფად შეიძლებოდა. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი თითოეულ მათგანზე ფასი ძალიან მოიმატებს. შესაძლოა, ფასების გაზრდა არ შეეხოს მხოლოდ ვილმოტსს, რადგან ის უკვე 33 წლის არის.

ერთი სიტყვით, თუ ერთ დროს ამ ფეხბურთელების შეკრებას სულ 25 მილიონ ფუნტ სტერლინგად მოახერხებდი, ახლა ფასი 120 მილიონი ფუნტი ან კიდევ მეტიც იქნება. სამაგიეროდ, ამ ნაკრებს ნებისმიერი ლიგის მოგება შეეძლება, ალბათ, მხოლოდ იტალიური სერია "ა"-ს გარდა.

ბუნებრივია, ფასი მოემატება ანსაც. თუ ის 1 მილიონი ფუნტი სტერლინგი ღირდა, ახლა 8 მილიონი ღირს. როგორც ამბობენ, "პერუჯა" მზად არის ანი გაუშვას და ბუნებრივია, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მას უკეთესი კლუბის პოვნა არც გაუჭირდება.

რაც შეეხება თურქეთი-სენეგალის მატჩს – დაფიქსირდა შედეგი, რომელსაც წინასწარვე ვარაუდობდნენ. თურქებმა აფრიკელები დამსახურებულად დაამარცხეს. მით უფრო, რომ წლევანდელი ჩემპიონატი თურქეთის ისტორიაში მხოლოდ მეორეა. პირველად, 1954 წელს მათ პირველი ეტაპიც ვერ გადალახეს. 2002 წელს კი, როგორც ხედავთ, წინ წარმატებით მიდიან. მათი შეჩერების შანსი ბრაზილიას აქვს.

# საფეხბურთო ფორტუნა - „ტორპედოსკენ" და „ტორპედოს" წინააღმდეგ

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს სამგზის ჩემპიონს - ქუთაისის "ტორპედოს" ახალი მწვრთნელი ჰყავს. ეს გახლავთ ფეხბურთის უკრაინელი სპეციალისტი ალექსანდრ შტელინი. შეგახსენებთ, რომ ზედიზედ მესამე საჩემპიონო ფინიშის შემდეგ, ზედ საქართველოს თასის ფინალური მატჩის წინ, ქუთაისელთა აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი გადადგა და ფინალში ჩემპიონმა უმწვრთნელოდ ითამაშა.

ალექსანდრ შტელინს საქართველოშიც და ქუთაისშიც კარგად იცნობენ. იგი 80-იანი წლების ბოლოს თბილისის "დინამოში" მუშაობდა მაშინდელი მთავარი მწვრთნელის დავით ყიფიანის თანაშემწედ. შტელინს იმ პერიოდში ქუთაისშიც უმუშავია. 90-იან წლებში სამშობლოში დაბრუნდა და ლობანოვსკის მიერ შექმნილ მწვრთნელთა შტაბში 7 წლის განმავლობაში მუშაობდა. შემდგომ შტელინმა ზაპოროჟიეს "მეტალურგის" და კიევის "ცსკას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე იმუშავა. პოსტსაბჭოური სივრცის მთელი რიგი მწვრთნელების მსგავსად, ალექსანდრ შტელინსაც მოუწია "შავ კონტინენტზე" მუშაობა. იგი ტუნისის ერთ-ერთ გუნდს წვრთნიდა. მერე ბელგიაში განაგრძო სამწვრთნელო მოღვაწეობა. იქვე მიიღო მოქალაქეობა და ქუთაისის "ტორპედოს" მწვრთნელად ბელგიელის სტატუსით დაინიშნა.

ქუთაისის "ტორპედომ" ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით უკვე დაიწყო ახალი საფეხბურთო სეზონისთვის მზადება. 2 დღის წინათ გამართულმა კენჭისყრამ ჩემპიონთა ლიგის საწყის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ჩემპიონის მეტოქედ ფარერის კუნძულების ჩემპიონი - "B-36" დაასახელა. პირველი მატჩი 17 ივლისს ქუთაისში გაიმართება, განმეორებითი შეხვედრა კი – 24 ივლისს ფარერებზე. წყვილში გამარჯვებულს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე მეტოქედ პრაღის "სპარტა" ელის.

ახლა "ტორპედო" ბაკურიანშია, საწვრთნელ შეკრებაზე და, ძირითადად, ფიზმომზადებაში ვარჯიშობს. გუნდი ბაკურიანში 29 ივნისამდე დარჩება, 1 ივლისს კი გაემგზავრება მოსკოვში, სადაც რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ქუთაისელთა სპარინგ-პარტნიორები იქნებიან მოსკოვის "ლოკომოტივი" და "ტორპედო". არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ჩემპიონი მოსკოვში რუსეთის "პრემიერლიგის" კიდევ რომელიმე სხვა წარმომადგენელსაც გაეპაექროს. "ტორპედო" სამშობლოში 12 ივლისს დაბრუნდება და ფარერის კუნძულების ჩემპიონთან მატჩამდე დარჩენილ 5 დღეს ქუთაისში მოემზადება.

გთავაზობთ ვლადიმირ პანოვის კომენტარს წილისყრის შედეგებზე: "შეიძლება ითქვას, რომ პირველ შესარჩევ ეტაპზე არსებულთაგან ყველაზე სუსტი მეტოქე შეგვხვდა და ეს გუნდი, წესით, უპრობლემოდ უნდა გავიაროთ. თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუნდაც მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, შეფასება - "სუსტი გუნდი" თანამედროვე ფეხბურთში ძალზე წარმოსახვითი და მოჩვენებითი ცნება გახდა. ნებისმიერ მეტოქესთან თამაშში ძალების სრული მობილიზაციაა საჭირო.

აქვე ვიტყვი, რომ რამდენადაც პირველი ეტაპის კენჭისყრაზე გაგვიმართლა, იმდენადვე უიღბლო გამოდგა ჩვენთვის მეორე შესარჩევი ეტაპის წილისყრა. პრაღის "სპარტა" მართლაც ყველაზე ძლიერი იყო იმ გუნდთა შორის, ვინც შეიძლებოდა მეორე ეტაპზე შეგვხვედროდა. ამ გუნდს ძალზე მდიდარი საფეხბურთო ტრადიციები აქვს, თითქმის სისტემატურად თამაშობს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე და შარშან ამ ტურნირის მეორე წრეში გასვლაც კი მოახერხა. თუმცა იმის თქმაც არ შეიძლება, რომ ჩეხეთის ჩემპიონთან დაპირისპირებაში უშანსოდ ვიქნებით. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად კარგად შევძლებთ გუნდის ფიზიკურ - ფსიქოლოგიურად მომზადებას.

არ არის გამორიცხული, რომ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ტურნირში ჩაბმამდე რამდენიმე ახალი ფეხბურთელით გავძლიერდეთ. ამის შესახებ გადაწყვეტილებას ჩვენი გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი საწვრთნელი შეკრებების დასრულების შემდეგ მიიღებს."

ახალგაზრდული თამაშები

## ქართველი ბომბარდირი

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები მოსკოვში მიმდინარე ახალგაზრდული თამაშების ფავორიტად ითვლება. თამაზ ოქრუაშვილისა და დავით უსტიაშვილის გუნდმა ხუთიდან ხუთივე მატჩში გაიმარჯვა და ფინალში გასასვლელად ერთი შეხვედრის მოგება სჭირდება. გუნდის ლიდერია ბათუმის "ბასკოს" წევრი მანუჩარ მარკოიშვილი, რომელიც ბომბარდირთა დავაშიც ლიდერობს. მარკოიშვილმა, ხუთი შეხვედრის ჯამში, 139 ქულა მოაგროვა (საშუალოდ - 27,8 თითოეულ შეხვედრაში). შედეგიანად თამაშობს ირაკლი საყვარელიძეც, რომელსაც 4 შეხვედრაში 100 ქულა აქვს მოპოვებული.

## მოჭიდავეთა ორი ოქრო

დასრულდა ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა საქართველოს ნაკრების წევრმა ზავარაშვილმა. მან ნახევარფინალში უზბეკეთის წარმომადგენელს შოდმანოვს მოუგო. ფინალში კი დაამარცხა უკრაინელი უვარენკო.

85 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი კიდევ ერთმა ქართველმა - გეგეშიძემ მოიპოვა. მან ნახევარფინალში აშკარა უპირატესობით მოუგო მოლდოველ ნურიევს, გადამწყვეტ შეხვედრაში კი ციმბირელი მოჭიდავე ბოტაევი დაამარცხა. 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნახევარფინალში გავიდა ბაკურაძე. ქართველმა მოჭიდავემ ქულებით წააგო ყირგიზ ალიმუკულოვთან.

## ხელბურთელთა მარცხი

ხელბურთელთა ტურნირის აღმოჩენად იქცა საქართველოს ნაკრების მეკარე გეგა სეთურიძე. ორი ტურის შემდეგ ქართველი მეკარე, სტატისტიკური მონაცემებით, პირველ ადგილზეა. მან მეტოქის 25 დარტყმიდან 18 მოიგერია. სულ კი სეთურიძემ მის კარში დარტყმული ბურთების საერთო რაოდენობის 70 პროცენტის მოგერიება შეძლო. საქართველოს ნაკრები მეორე ეტაპზე გავიდა, სადაც, სამწუხაროდ, ბელარუსის ძლიერ გუნდთან დამარცხდა – 20:33. ამ შეხვედრაში კი მეკარეებმა არცთუ კარგად ითამაშეს. სეთურიძემ 16-დან მხოლოდ სამი დარტყმის მოგერიება მოახერხა. კორნელი ანდრიაძემ კი 32-დან 20 დარტყმა გაუშვა. კარგად ითამაშა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ტალახაძემ - მან 6 გოლი გაიტანა. ვლადიმერ რუსიას ანგარიშზე 7 გოლია.

ფორმულა



დღეს მორიგი გრან-პრი გათამაშდება




REUTERS

## რალფ შუმახერი: „მე უნდა მოვიგო"

დღეს ფორმულა 1-ის მორიგი გრან-პრი გათამაშდება. მსოფლიოს უძლიერესი საჯინიბოების წარმომადგენლები გერმანიაში ჩავიდნენ. სპეციალისტთა აზრით, ნიურბურგინგის ტრასის ფავორიტად კვლავ მიხაელ შუმახერი ითვლება. წლევანდელი სეზონის რვა რბოლიდან მან ექვსი მოიგო. მისი ძმა, რალფი კი თვლის, რომ სიტუაცია სწორედ დღეს შეიცვლება. "შეუძლებელია, რომ მიხაელმა ზედიზედ ამდენი რბოლა მოიგოს. მართალია, იგი დაწინაურდა, მაგრამ წინა სეზონში რამდენიმე გრან-პრი ჩვენთვისაც წარმატებული გამოდგა. მოკლედ, ჩემი აზრით, დღეს ყველაფერი სხვაგვარად იქნება," - განაცხადა უმცროსმა შუმახერმა, რომელიც წლეულს მხოლოდ ერთხელ, მალაიზიაში ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ეს კიდევ "მაკლარენის" პილოტმა კულტჰარდმა შეძლო. დანარჩენი ექვსი ბრძოლა მიხაელის გამარჯვებით დასრულდა. იგი თავს მშვიდად გრძნობს - 43 ქულით უსწრებს ძმას. "ფერარის" საჯინიბო კი 32 ქულით დაწინაურდა კონსტრუქტორთა დავაში.

## ძლიერი წვიმა და ქარი

დღეს ნიურბურგინგში წვიმს. ყოველ შემთხვევაში, პროგნოზის მიხედვით აუცილებლად უნდა წვიმდეს. ხუთშაბათს, დილით, ჰაერის ტემპერატურა 12 გრადუსს არ ასცილებია. ამან ორგანიზატორებს სერიოზული პრობლემა შეუქმნა. საქმე ისაა, რომ ტრასა 75 წლის იუბილეს აღნიშნავს. ზეიმი, ცუდი ამინდის გამო, ხანმოკლე და არცთუ შთამბეჭდავი გამოვიდა. უამინდობით განსაკუთრებით უკმაყოფილო დარჩა ფირმა "მიშელინი," რომლის საბურავებიც მცხუნვარე მზის ქვეშ უკეთ გამოიყურება. სამაგიეროდ, კმაყოფილი არიან "ბრიჯსტოუნის" პარტნიორები. ამ ფირმის საბურავი ზედგამოჭრილია წვიმიანი ამინდისთვის. პარასკევს მოიღრუბლა. ჰაერის ტემპერატურა 13-22 გრადუსს შორის მერყეობდა. შაბათს რამდენჯერმე ძლიერად იწვიმა. დღეს კი, პროგნოზის მიხედვით, უფრო ძლიერი წვიმაა მოსალოდნელი.

## ტრასის შეცვლამ სირთულე გაზარდა

ნიურბურგინგის ტრასის პირველი ორი მოსახვევი, ორგანიზატორთა და საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, შეიცვალა. პარასკევს, დილით გამართულმა ტესტ-რბოლებმა ცხადყო, რომ საჯინიბოებს პრობლემები შეექმნათ. ტექნიკურად ტრასა საკმაოდ რთულია, თუმცა, სიჩქარე აქ არცთუ ისე მაღალია. "ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ ტრასის ყველა მონაკვეთი, - განაცხადა "ფერარის" ტექნიკური სამსახურის ხელმძღვანელმა როს ბრაუნმა, - ეს ტრასა მანქანისგან უფრო მეტ აეროდინამიკას და მოქნილობას მოითხოვს. ვიპოვეთ ორი ადგილი, რომელიც გასასწრებად იდეალურია." იტალიური საჯინიბოს ხელმძღვანელებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ მომდევნო ორ რბოლას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. ალბათ, იმიტომ, რომ შარშანდელ სეზონში შუმახერმა სწორედ ამ ეტაპებზე ჩამოიტოვა მთავარი კონკურენტი, მაკლარენელი დევიდ კულტჰარდი.

## ხულიგნიდან სანიმუშომდე

ინგლისელ გულშემატკივართა ჩვევების შესახებ, ალბათ, ყველას კარგად მოეხსენება. ბრიტანელთათვის სულ ერთი იყო, აგებდა მათი გუნდი თუ იგებდა, მატჩის შემდეგ ყოველთვის სკანდალებს აწყობდნენ და შეხვედრის მასპინძელ ქალაქს უმოწყალოდ არბევდნენ.

აზიურ მუნდიალზე ინგლისელები ისე კარგად იქცეოდნენ, რომ ფიფა-ს ყურადღებაც მიიქციეს და სანიმუშო გულშემატკივრებად დასახელდნენ. ფიფა სერიოზულად შიშობდა, რომ ბრაზილიასთან შეხვედრის შემდეგ ინგლისელი ფანები ქალაქ შიძუოკას დაანგრევდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, მსგავსი არაფერი მომხდარა. წაგების მიუხედავად, ინგლისელებმა შიძუოკა მშვიდად დატოვეს. არადა, ტოკიოში განთავსებული ინგლისის საელჩოს მონაცემებით, შიძუოკაში დაახლოებით ათი ათასი ინგლისელი ფანი იყო.



ინგლისელი გულშემატკივრები

REUTERS

## ანს იტალიაში უნდა

თურმე, ნუ იტყვით და, სამხრეთკორეელ იუნგ ჰვან ანს საოცრად ჩვილი გული ჰქონია. როცა მან გაიგო, რომ "პერუჯას" პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი იტალიის ნაკრების კარში გატანილი "ოქროს გოლის" გამო კლუბიდან აგდებდა, ძალიან დაღონდა და განაცხადა, რომ არ სურდა იტალიის დატოვება.

"მე ფეხბურთელად და პიროვნებად იტალიაში ჩამოვყალიბდი. ჩემი იტალიელი მეგობრები ძალიან მიყვარს. ესპანეთთან მატჩში შევეცდები, ყველას დავუმტკიცო, რომ კარგი ფეხბურთელი ვარ და კლუბიდან ჩემი გაშვება არასწორი გადაწყვეტილებაა", - ამბობს ანი, რომელმაც მუქარა აასრულა და ესპანელთა დამარცხებაში გარკვეული წვლილი შეიტანა.

## კიუნი ნაკრებს ტოვებს

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" ვეტერანმა მცველმა მარტინ კიუნმა მეოთხედფინალში ბრაზილიასთან წაგების შემდეგ განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს ეროვნული გუნდის დატოვება.

კიუნი 35 წლისაა. ინგლისის ნაკრების მაისურით 42 შეხვედრა აქვს ჩატარებული. ეს მუნდიალი მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა.

რაც შეეხება საკლუბო კარიერას, კიუნი, როგორც ჩანს, აღარ აპირებს ლონდონის "არსენალში" დარჩენას და აცხადებს, რომ მისი გადაბირებით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული. საბოლოო გადაწყვეტილებას კიუნი უახლოეს მომავალში მიიღებს.

## დერბი ბრაზილიელთათვის

ბრაზილიის ნაკრებში ახალგაზრდა ფორვარდი რონალდინიო ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა. მან მეოთხედფინალში შესანიშნავად ითამაშა და, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში გააძევეს, საგოლე პასის გაკეთებაც მოასწრო და გოლიც გაიტანა.

ამჟამად რონალდინიო ფრანგულ "პარი სენ ჟერმენში" თამაშობს, მაგრამ, ალბათ, ამ კლუბში დიდხანს არ დარჩება. მისი შეძენის სურვილი გამოთქვა ორმა მილანურმა გრანდმა - "ინტერმა" და "მილანმა". გამორიცხული არ არის, რომ ახალგაზრდა ბრაზილიელმა კარიერა იტალიაში გააგრძელოს.

## გაწირავენ რონალდინიოს?

ფიფა დღეს იმსჯელებს იმის შესახებ, თუ რა სახის განაჩენი გამოუტანონ ბრაზილიელ ფორვარდ რონალდინიოს, რომელსაც ინგლის-ბრაზილიის მეოთხედფინალში დენი მილსთან გამოჩენილი უხეშობისთვის კოლუმბიელმა არბიტრმა ფელიპე რამოს რისომ წითელი ბარათი უჩვენა.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ რონალდინიომ არა მარტო ნახევარფინალი, არამედ ფინალიც გამოტოვოს, თუ, რა თქმა უნდა, მისი გუნდი მუნდიალის ბოლო ეტაპზე გავა.

რონალდინიო მეოთხე ფეხბურთელია მუნდიალის ისტორიაში, რომელიც გოლის გატანის შემდეგ გააძევეს. პირველად ასეთი რამ ურუგვაელ რუბენ კარერას შეემთხვა 1962 წელს. მეორე უიღბლო რონალდინიოს თანამემამულე გარინჩა იყო იმავე მუნდიალზე, მესამე კი - სამხრეთკორეელი ჰა სეოკ იუ 1998 წლის საფრანგეთის ჩემპიონატზე.

## რივალდო ყურადღების ცენტრშია

ბრაზილიელმა რივალდომ ინგლის-ბრაზილიის მეოთხედფინალში თავისი მეხუთე გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით არა მარტო მიმდინარე მუნდიალის ბომბარდირებს, არამედ წარსულის სახელოვან გოლეადორებსაც წამოეწია. ხუთ თამაშში ხუთი გოლი აქამდე პორტუგალიელ ეუსებიოს, გერმანელ გერდ მიულერს, იტალიელ სალვატორე სკილაჩის და ბულგარელ ხრისტო სტოიჩკოვს ჰქონდათ გატანილი.

თუ რივალდო ნახევარფინალშიც შეძლებს გოლის გატანას, მაშინ ის მუნდიალის ორ რეკორდსმენს, ფრანგ ჟუსტ ფონტენს და თანამემამულე ჟაირზინიოს დაეწევა

ჩოგბურთი

## ორშაბათს უიმბლდონი იწყება....

....და შეიძლება მთავარი ფავორიტის, პირველ ნომრად განთესილი ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტის გარეშე დარჩეს. ჰიუიტი ჰოლანდიაში მიმდინარე Ordina Openis-ის ფავორიტადაც ითვლებოდა. ნახევარფინალის წინ ავსტრალიელს ნაწლავური ინფექცია დაემართა და, იძულებული გახდა, მატჩზე უარი ეთქვა. მის ნაცვლად ნახევარფინალში ფრანგი არნო კლემანი გავიდა. ჰიუიტი გულდაწყვეტილია: "უიმბლდონი ორშაბათს იწყება. მე კი ჯერ არ ვიცი, მოვასწრებ თუ არა მწყობრში ჩადგომას".



ლეიტონ ჰიუიტი გულდაწყვეტილია

REUTERS

## „ტოტო 2000" 22-06 24-06 2002

### ინტერტოტო. I ეტაპი. I მატჩები

| თარ. | დრო | კოდი | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | 12 | X2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23/06 | 20:00 | 065 | ჰელსინგბორგი(შვედ) - კოპერი(სლოვენ) | 1.45 | 3.80 | 6.50 | | 1.17 | 2.38 |
| 23/06 | 20:00 | 066 | გლორია(რუმ) - უნიონი(ლუქს) | 1.10 | 6.00 | 13.00 | | | 4.09 |
| 23/06 | 20:00 | 067 | ზაგლებიე(პოლ) - დინაბურგი(ლატ) | 1.50 | 3.50 | 6.50 | | 1.20 | 2.26 |
| 23/06 | 20:30 | 068 | ობილიჩი(იუგ) - ჰაკა(ფინ) | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.10 | 1.21 | 1.87 |
| 23/06 | 21:00 | 069 | ბრნო(ჩეხ) - აშდოდი(ისრ) | 1.45 | 3.80 | 6.50 | | 1.17 | 2.38 |

### ნორვეგია. XIII ტური

| თარ. | დრო | კოდი | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | 12 | X2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23/06 | 21:00 | 071 | ბოდო - სტარტი | 1.60 | 3.60 | 4.80 | 1.09 | 1.18 | 2.04 |
| 23/06 | 21:00 | 072 | სოგნდალი - მიოლდე | 3.40 | 3.40 | 1.90 | 1.68 | 1.20 | 1.20 |
| 23/06 | 21:00 | 073 | სტაბეკი - მოსი | 1.45 | 3.80 | 6.30 | | 1.16 | 2.35 |
| 23/06 | 21:00 | 074 | ვიკინგი - ლინი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.23 | 1.23 | 1.63 |
| 23/06 | 21:00 | 075 | ვალერენგა - ბრინი | 1.60 | 3.70 | 4.60 | 1.10 | 1.17 | 2.03 |
| 24/06 | 23:30 | 076 | ბრანი - რუსენბორგი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.68 | 1.21 | 1.19 |

# შენი თავგადასავალი ფილარმონიის ფოიეში

თბილისის წიგნის IV ფესტივალი ერთი წლით დაგვემშვიდობა



გურამ დოჩანაშვილი ავტოგრაფებს არიგებს



თენგიზ მირზაშვილი და რეზო ჩხეიძე ფესტივალზე

თამარ სუხიშვილი

გუშინ საღამოს წიგნის ბაზრობიდან რედაქციისკენ რომ მივდიოდი, "დელისის" ბაზრიდან გამოსული ერთი გამყიდველი ჩიოდა, ეეჰ, დღეს კარგი ბაზარი არ იყოო. ან კი როგორ იქნებოდა, ამ დღეს ხომ მთელი თბილისი ფილარმონიის ფოიეს მიაწყდა, ბაზარი სად გაგვექცევა, აი, წიგნების ფესტივალი კი ერთი წლით გვემშვიდობება.

გუშინ თბილისის წიგნის IV ფესტივალი დაიხურა, მაგრამ დახურვამდე სტუმრებს უამრავი სიახლე და სიურპრიზი ელოდათ. მართალია, დაგეგმილი პრეზენტაციებისა და სხვა ღონისძიებების თანმიმდევრობა, ცოტა არ იყოს, აირია, იქნებ ესპანეთის ნაკრების ჩაუთვლელი გოლებითა და საფეხბურთო ციებ-ცხელებით გამოწვეული დაბნეულობის გამო, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია.

გუშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ არ არის სწორი, როცა ამბობენ, ისეთი დრო დაგვიდგა, წიგნი აღარავის აინტერესებსო. ჩვენში, საბედნიეროდ, წიგნს დანატრებული მკითხველი ჯერ კიდევ მრავლადაა.

22 ივნისი - ფესტივალის ბოლო დღე განსაკუთრებით დატვირთული იყო პრეზენტაციებით, სიურპრიზებით, შთაბეჭდილებებით და ხალისით, ბევრი ახალი გავიგეთ, ბევრიც ძველი გავიხსენეთ...

გამომცემლობა "არტანუჯმა" სამი საინტერესო გამოცემა შესთავაზა მკითხველებს: გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის, მორის ვაგნერის წიგნი საქართველოს შესახებ, რომელიც ჩვენი ქვეყნის მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ამბებს მოგვითხრობს, იაკობ რაინექსის "მოგზაურობა საქართველოში" (ორივე წიგნის თარგმანი გია გელაშვილს ეკუთვნის) და ვარდან არეველცის "მსოფლიო ისტორია". გამომცემლობა "ინტელექტმა" კი სტუმრებს ლასარ ფულარიანის "ანტარქტიდა – სამხრეთის იდუმალი მიწა" და ჟურნალი "ლექტონი" წარუდგინა; ამ ჟურნალში ლიტერატურათმცოდნეობის, რელიაგიათმცოდნეობისა და კულტურის ისტორიის საკითხებით დაინტერესებული პირები ქართველ მეცნიერთა საინტერესო ნაშრომებს გაეცნობიან.

პრეზენტაციებს ლატარეის გათამაშება მოჰყვა. გამომცემლობა "დიოგენემ", როგორც ჩანს, უკვე დაამკვიდრა საპრეზენტაციო მწიგნობრული ლატარეის გათამაშება. ამჯერად გამომცემლობამ გამარჯვებულებს წიგნებთან ერთად სამახსოვრო სუვენირებიც ჩამოურიგა. სულ 20 პრიზი გათამაშდა.

წიგნების დათვალიერების, ნაცნობ-მეგობრებთან გასაუბრებისა და ლატარეაში ხელმოცარული თამაშის შემდეგ იმ სტენდს მივაშურე, რომელთანაც ყველაზე დიდი რიგი იდგა. ეს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის სტენდი აღმოჩნდა. **ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა კვლავაც აკა მორჩილაძის რომანებით იწონებს თავს.** გამომცემლობის წიგნებიდან ყველაზე მეტი სწორედ მისი ახალი რომანი "შენი თავგადასავალი" იყიდებოდა, რომელიც "გადაკარგულ მეგობრებს" ეძღვნება და მრავალ ეპიგრაფს შორის სტენდალის სიტყვებიც აქვს წამძღვარებული: "ეს აბსურდია, მაგრამ უნდა დავტოვო, რადგან მკითხველს გაართობს". ასე რომ, ამ დღეებში თბილისელი მკითხველი არ მოიწყენს. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ საბავშვო ფერადოვანი გამოცემების ფასის მკითხველი ბევრი იყო, აი, მყიდველისა კი - რა მოგახსენოთ. ბევრს დაწყდა გული, წიგნის ფასს რომ ვერ შეწვდა. ამავე გამომცემლობის დახლებზე დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ გურამ ბედოშვილის ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიურ ლექსიკონს და მრავალ სხვა გამოცემას. თბილისელებს ისიც ძალიან გაუხარდათ, დახლებზე "ნაკადულის" საბავშვო ბიბლიოთეკის ტომები რომ დაინახეს. და კიდევ ერთი სიახლე, **მსოფლიო ბესტსელერი "ალი და ნინო" თბილისშიც ბესტსელერად იქცა**, ხუთლარიანებით შეიარაღებული მყიდველები ყურბან საიდის რომანის ორ-ორ ეგზემპლარსაც ყიდულობდნენ...

ფესტივალის დასკვნითი ნაწილის დამაგვირგვინებელი ეტაპი მაინც საუკეთესო გამოცემათა კონკურსის ნომინაციები იყო. კონკურსში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ის ნამუშევრები, რომლებიც წიგნის III ბაზრობის ანუ 2001 წლის 14-17 ივნისის შემდეგ გამოიცა. რვა ნომინაციიდან ჯერ სამ-სამი კანდიდატი შეირჩა, მერე კი გამარჯვებულთა სახელები გამოცხადდა. ჟიურის მწერალი ზაალ სამადაშვილი თავმჯდომარეობდა. ფესტივალის ორგანიზატორი – საქართველოს წიგნის გამომცემელთა ასოციაცია და სპონსორები ამ კონკურსში არ ჩარეულან. გამარჯვებულებს ფულადი პრემია (100 დოლარის ექვივალენტი) გადასცეს, მათ მიენიჭათ ფესტივალის ლაურეატის წოდება და გადაეცათ დიპლომები.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ, ფესტივალის ორგანიზატორებმა კი, როგორც ბატონმა მერაბ ქათამაძემ გვითხრა, უკვე ხვალინდელ დღეზე ფიქრი დაიწყეს. მომავალ წელს ისინი უფრო ფართომასშტაბიან ღონისძიებას გვპირდებიან. შედეგი 2003 წელს გამოჩნდება. წელს კი თბილისის წიგნის IV ფესტივალმა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის კონკურენციას გაუძლო.

## თბილისის წიგნის IV ფესტივალის გამარჯვებულები ნომინაციების მიხედვით

**საუკეთესო რომანი** (საავტორო პრემია) – აკა მორჩილაძე "შენი თავგადასავალი" (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

**საუკეთესო პროზაული კრებული** (საავტორო პრემია) – ირაკლი ჯავახაძე "კავალერები" (გამომცემლობა "საარი")

**საუკეთესო პოეტური კრებული** (საავტორო პრემია) – დათო მაღრაძე "ნიკალა" (გამომცემლობა "საარი")

**საუკეთესო მხატვრული გაფორმება** (საავტორო პრემია) – თამაზ ვარვარიძე "შენი თავგადასავალი" (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

**საუკეთესო პირველი წიგნი-"დებიუტი"** (თი-ბი-სი ბანკის საავტორო პრემია) – არჩილ ქიქოძე "ირემი და ლიმონათი" (გამომცემლობა "საარი")

**საუკეთესო თარგმანი** (საგამომცემლო პრემია) – გამომცემლობა "დიოგენე", "ალი და ნინო", მთარგმნელი მაია მირიანაშვილი

**საუკეთესო საბავშვო გამოცემა** (საგამომცემლო პრემია) – გამომცემლობა "ლიტერას" სერია "ცივილიზაციათა დიალოგი"

**წიგნის ხელოვნება** (საგამომცემლო პრემია) – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, სერია "მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია"



ბაკურ სულაკაური გახარებულია

იური ლობოდინის ფოტოები

30 ივნისი (21.00) - ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
„მაგთი-GSM" წარმოგიდგენთ:
21.00 სთ - „მწვანე ოთახი" (საქართველო)
21.40 სთ - ტანია მარია და „ვივა ბრაზილ კვარტეტი" (ბრაზილია)

2 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„GMT-ჯგუფი" წარმოგიდგენთ:
ბობ მინცერი და თბილისის ბიგ-ბენდი (აშშ-საქართველო)
აშშ-ის საელჩოსა და გადამხდელთა კავშირის მხარდაჭერით

3 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„ლუკოილი" წარმოგიდგენთ
ელ ჯერო და ბენდი (აშშ)

3 ივლისი (21.00) კლუბი „ჯოი"
„რუსთავცემენტი" წარმოგიდგენთ
ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი (აშშ)
ბობ მინცერის კვარტეტი (აშშ)

4 ივლისი (21.00) კლუბი „ჯოი"
„ნესკაფე" წარმოგიდგენთ
იგორ ბრილი და მაია ბარათაშვილი (რუსეთი, საქართველო)
22.00 დენის როლინზის „ბედბოენ ენდ კომპანი" (დიდი ბრიტანეთი)

5 ივლისი (21.00) - კლუბი „ჯოი"
„კენტი" წარმოგიდგენთ
ჯაზ-კვარტეტი (სომხეთი) ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი (საქართველო)
ალფრედ „პი პი" ელისის ანსამბლი (აშშ)

თბილისის მე-6 საერთაშორისო ჯაზი – ფესტივალის პროგრამა

jazz



# სალი

აიზეკ აზიმოვი

დასაწყისი მე-6 ნომერში

- ეგრეც მოიქცნენ. ერთმა ღობე გაანგრია.

- ძალიან ვწუხვარ, ჯეიკ, - თქვა მან, - ბევრ ავტომობილში ვმჯდარვარ, მაგრამ კერძო მანქანა-რობოტით ორჯერ თუ სამჯერ მიმგზავრია, საჭესთან კი პირველად ვიჯექი. საკმაოდ გამოწრთობილი ვარ, მაგრამ სუნთქვა შემიკრა ამ გასეირნებამ. გეუბნებით, ახალ მანქანებთან შედარებით, ოც პროცენტზე მეტით არ მოგიწევთ ფასის დაწევა. უამრავი მსურველი იქნება და შემოსავალსაც კარგს ვნახავთ.

- და შუაზე გავიყობთ?

- ორმოცდაათი ორმოცდაათზე და მთელ რისკს ჩემს თავზე ვიღებ.

- კარგი. მე თქვენ მოგისმინეთ. ახლა თქვენ მისმინეთ - ხმას ავუწიე, რადგან ძალიან გაბრაზებული ვიყავი - მოტორის გამორთვით თქვენ სალის ტკივილი მიაყენეთ. როგორ გესიამოვნებათ, გონების დაკარგვამდე რომ გცემონ?

- ნუ აზვიადებთ, ჯეიკ, - ავტომატობუსებს ყოველ ღამით თიშავენ.

- მეც მაგას ვამბობ. ამიტომაც არ მინდა რომ ერთი ჩვენი მანქანა მაინც ჩავარდეს თქვენს ხელში. ავტომატობუსს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ესაჭიროება პოზიტრონული ჯაჭვის განახლება. მეტიუს კი უკვე ოცი წელია შეკეთება არ დასჭირვებია.

- ახლა თქვენ გალიზიანებული ხართ, ჯეიკ. რომ დამშვიდდებით მერე მოიფიქრეთ ჩემი წინადადება.

- ყველაფერი მოფიქრებულია და გადაწყვეტილი. აქ კიდევ ერთხელ თუ დაგინახავთ, პოლიციას გამოვიძახებ.

ღრანჭი უშნოდ მოექცა.

- ნუ მიაჭნებ, ბებერო.

- კმარა. ეს კერძო საკუთრებაა და, გიბრძანებთ, მოშორდეთ აქაურობას.

მან მხრები აიჩეჩა.

- მაშ, ნახვამდის.

- მისის ჰესტერი გაგაცილებთ. და "ნახვამდის" კი არა, "მშვიდობით".

მაგრამ მისი თავიდან მოშორება იოლი საქმე არ აღმოჩნდა. ორი დღის შემდეგ ისევ ვნახე. უფორ სწორად, ორ-ნახევარი დღის შემდეგ, რადგან პირველად შუადღისას იყო მოსული, მეორედ კი, ნაშუაღამევს მომადგა. ნამძინარევი ლოგინზე წამოვჯექი. მან შუქი აანთო. თავიდან ვერც კი მივხვდი რა ხდებოდა. მარჯვენა ხელში პისტოლეტი ეჭირა. ისეთი პატარა, რომ ლულა ძლივს მოუჩანდა, მაგრამ ეს როდი ამცირებდა მის საშიშროებას. ვიცოდი, რომ თუ მოისურვებდა, ნაფლეთებად მაქცევდა.

- ჩაიცვი, ჯეიკ. - თქვა მან. არ გავნძრეულვარ, ვუყურებდი. მან დასძინა:

- ცაცხლად, ჯეიკ. კარგად მაქვს შესწავლილი აქაურობა. გახსოვს, ორი დღის წინ რომ ვიყავი? აქ არც დაცვაა, არც ელექტროფიცირებული შემოღობვა და არც სიგნალიზაცია.

- არცა მჭირდება. თქვენ კი, მისტერ გელჰორნ არავინ გიშლით ხელს, რომ წახვიდეთ. თქვენს ადგილზე ასეც მოვიქცეოდი. აქ ყოფნა შეიძლება ძალზედ სახიფათო აღმოჩნდეს.

მან ჩაიხითხითა.

- ალბათ, იმისთვის, ვისკენაც ლულაა მიშვერილი.

- კარგად ვხედავ ლულას და ვიცი, რომ შეიარაღებული ხართ.

- მაშინ გაინძერით, ჩემი ბიჭები იცდიან.

- არა, მისტერ გელჰორნ, ჯერ უნდა ვიცოდე, რა გნებავთ, თუმცა, ამის გაგების შემდეგაც, შეიძლება ფეხი არ მოვიცვალო ადგილიდან.

- გუშინწინ მე აქ საქმიანი წინადადებით ვიყავი მოსული.

- ჩემი პასუხი კვლავ უარყოფითია.

- დღეს ჩემს წინადადებას კიდევ ერთი რამ დაემატა. მე თან ავტომატობუსი და ხალხი მახლავს. ჩემთან წამოხვალ და ოცდახუთ მანქანას მოხსნი მოტორს. ჩემთვის სულ ერთია, რომელს ამოირჩევ. ძრავებს ავტომატობუსზე დავტვირთავთ და წავიღებთ. გაყიდვის შემდეგ შენს წილს მიიღებ.

- იმედია, სიტყვას მომცემთ, რომ სამართლიანად გავიყოფთ ფულს.

ჩემი სარკაზმი მან უყურადღებოდ დატოვა.

- რა თქმა უნდა.

- არა.

- თუ გაჯიუტდებით, უთქვენოდაც გავართმევ თავს. თვითონ მოვხსნი მოტორებს, ოღონდ არა ოცდახუთს, არამედ, ორმოცდათერთმეტივეს.

- პოზიტრონული ტვინის გამორთვა არც თუ ისე ადვილია, მისტერ გელჰორნ. ერკვევით რობოტექნიკაში? თან გაითვალისწინეთ, რომ ძრავები გადაკეთებულია.

- ვიცი, ჯეიკ. სიმართლე გითხრათ, ექსპერტი არა ვარ. ზოგი გამიფუჭდება. ამიტომაც მომიწევს ყველას წაღება. მე თუ მოვკიდე ხელი, ოცდახუთი ცალიც კი არ დარჩება მუშა მდგომარეობაში. ყველაზე ცუდ დღეში პირველი მანქანები ჩავარდება, სანამ ხელი გამეჩვევა. და თუ მომიწია ამ საქმის გაკეთება, პირობას გაძლევთ, პირველს სალის დავშლი.

- ნუთუ სერიოზულად ამბობთ ამას.

- კი. - მან პაუზა გააკეთა - თუ დამეხმარები, სალის გადაარჩენ. თუ არა და შენ თავს დააბრალე.

- კარგი, წამოვალ თქვენთან, მაგრამ კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, შავ დღეში ჩავარდებით, მისტერ გელჰორნ.

ამ სიტყვებმა ძალიან გაამხიარულა. სანამ კიბე ჩავიარეთ, იცინა. გარაჟებისკენ მიმავალ გზაზე ავტომატობუსი გვიცდიდა. გვერდით სამი სილუეტი მოჩანდა. როცა მივუახლოვდით, მათ ფარნები აანთეს.

- აი, მოვიყვანე. - ჩუმად თქვა გელჰორნმა, - დავიწყოთ. სატვირთო მანქანა ახლოს მოაყენეთ კარებთან.

ერთი კაცი კაბინაში ჩაჯდა და პანელზე შესაბამისი ბრძანება აკრიფა. ჩვენ გზას გავუყევით. ავტომატობუსი კვალდაკვალ გამოგვყვა.

- ეს მანქანა გარაჟში ვერ შევა, - კარებში არ გაეტევა. ჩვენ აქ მხოლოდ მსუბუქი ავტომობილები გვყავს.

- არა უშავს, - თქვა გელჰორნმა, - შორიახლოს დავაყენებთ. მთავარია, არ გამოჩნდეს.

- მე მხოლოდ მინდა გაგაგებინოთ, რომ ამ ავტომობილებს ესმით ჩემი სიტყვები. პოზიტრონულ ტვინს შეუძლია ლაპარაკის სწავლა. სალიმ მოისმინა ჩვენი გუშინწინდელი საუბარი. თუ გახსოვთ, აზრი როცა ვკითხე, მას გაეცინა კიდეც. თანაც თქვენი ბოლმა აქვს გულში ჩადებული. არც სედანებს დავიწყებიათ გუშინწინდელი წყენა. დაბოლოს, დანარჩენებმაც იციან, როგორ უნდა დახვდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს.

- შენ რა, გააფრინე, ბებერო?

- მხოლოდ ერთ სიტყვას ელიან ჩემგან. - უეცრად ხმას ავუწიე და დავიძახე - ეცით!

ერთ-ერთი ყაჩაღთაგანი გაფითრდა და იყვირა, მაგრამ მისი ყვირილი კლაკსონების ხმამ გადაფარა. სიგნალების ექო გარაჟის ოთხ კედელში წარმოუდგენელ ხმაურს ქმნიდა. ორი მანქანა ნელა დაიძრა წინ. მათ კიდევ ორი მიყვა.

ყაჩაღებმა უკან დაიხიეს.

დავუყვირე:

- მოშორდით კედელს!

ამას თვითონაც მიხვდნენ და კარში გაცვივდნენ. ერთ-ერთი მოტრიალდა და ისროლა. ნემსმა ლურჯად გაიელვა და ჯუზეპეს კაპოტი გაუხაზა. საქარე მინა გაიბზარა, მაგრამ არ ჩამსხვრეულა.

ნაძირალები სიბნელეში გაიფანტნენ. მანქანები ღმუილით დაედევნენ.

გელჰორნს იდაყვში ჩავავლე ხელი. თუმცა, უამისოდაც ადგილზე იყო გაშეშებული. ტუჩები უკანკალებდა.

- აი, რატომ არ მჭირდება სიგნალიზაცია და დაცვა. - ვუთხარი მე, - ჩემი საკუთრება თვითონ იცავს თავს.

გელჰორნი მოჯადოვებულივით იდგა.

- მკვლელები... - ჩაილაპარაკა მან.

- ნუ სულელობთ. არავინ მოკვდება.

- მკვლელები...

- თქვენს ბიჭებს ცოტა ჭკუას ასწავლიან. მანქანები ზუსტად საამისოდ მყავს გაწვრთნილი. ვფიქრობ სწრაფ სიკვდილზე უფრო საშინელი ბედი ელით. როდესმე დაგდევნებიათ ავტომობილი?

- ბრონირებულია. სანამ მეორედ გაისვრით, გაგსრისავთ.

- ასე ხომ?! - იყვირა გელჰორნმა და უეცრად ამომიტრიალა ხელი და ამომეფარა.

- იარე და გასხლტომა არ სცადო, თორემ ხელს მოგტეხავ.

სხვა გზა არ მქონდა, დავმორჩილდი. სალი შეშფოთებული წინ და უკან დაძრწოდა. არ იცოდა რა ეღონა. მინდოდა დაველაპარაკებოდი, მაგრამ ტკივილისგან მხოლოდ კვნესას ვახერხებდი.

ავტომატობუსი ისევ გარაჟთან იდგა. გელჰორნმა შიგნით შემაგდო, შემომყვა და კარი ჩაკეტა.

- ახლა კი, ვილაპარაკოთ. - თქვა მან.

ნატკენი ხელი დავიზილე და, ჩვეულებისამებრ, ავტომატობუსის მართვის პანელის შესწავლა დავიწყე.

- გადაკეთებული მექანიზმია.

- მერე რა? - გესლიანად მომიგო, - ჩემი ნახელავია. შესაფერისი პოზიტრონული მოტორი ვიშოვე, ძველ გამოუსადეგარ ძარაზე დავამონტაჟე და ავაწყვე საკუთარი ავტომატობუსი.

პანელს თავსახური ავხადე.

- ხელი არ ახლო! - მხარზე ხელი დამკრა.

- ნუ გეშინია, მანქანას ზიანს არ მივაყენებ. ვინა გგონივარ? უბრალოდ, მოტორის კონტაქტები მინდა ვნახო.

ერთი შეხედვაც მეყო. ბრაზი მომერია.

- ნაბიჭვარო! ნუთუ სპეციალისტი ვერ ნახე, მანქანა რომ არ დაგემახინჯებია?

- ჯერ არ გავგიჟებულვარ.

- თუგინდ მოპარული მოტორი იყოს, მაინც არ გქონდათ ამის უფლება. შედუღება, საიზოლაციო ლენტი და მარწუხები! ეს ხომ მექანიზმის დაცინვაა!

- ხომ მუშაობს და რას ერჩი?

- რა თქმა უნდა, მუშაობს, მაგრამ ეს ხომ ჯოჯოხეთური ტანჯვაა მანქანისთვის. ართრიტით და შაკიკითაც შეიძლება ცხოვრება, მაგრამ ამას ცხოვრება ჰქვია?

- მოკეტე! - ფანჯრიდან ავტომატობუსთან მომდგარ სალის გადახედა და კარი შეამოწმა.

რების შუქმა გამოანათა, თვალი მოჭრა და წუთით დააბრმავა. შუქი უკნიდანაც გამოჩნდა. გზაჯვარედინთან, ასი იარდის მოშორებით მუხრუჭების ჭრიალი გაისმა. წყვდიადიდან ავტომობილი გამოვარდა და გზა გადაგვილობა.

- სალიმ დანარჩენებს დაუძახა. ვფიქრობ, ალყაში ხართ. - ვუთხარი მე.

- მერე რა? რას მიზამენ? - გელჰორნი საჭეს ჩასჭიდებოდა და საქარე მინის მიღმა გზას გასცქეროდა. - ჭკვიანად იყავი, ბებერო, არ ჩაერიო.

ვერც ჩავერეოდი. ძალა აღარ მქონდა. მარცხენა ხელი არ მემორჩილებოდა.

მოტორების ხმაური მოგვიახლოვდა. კარგად მესმოდა არათანაბარი კაკუნი და უეცრად გავიფიქრე, რომ მანქანები ასე ელაპარაკებიან ერთმანეთს.

უეცრად სიგნალები ჩართეს. უკან გავიხედე. რამდენიმე მანქანა მოგვდევდა. გელჰორნს ხარხარი აუტყდა.

- გააჩერეთ! გააჩერეთ ავტომატობუსი! - ვიყვირე მე.

მეოთხედი მილის მოშორებით, ფარების შუქზე მკაფიოდ გამოჩნდა სალი. მისი ნატიფი კორპუსი გზას გვილობავდა. ორი სედანი გვერდზე მოგვყვებოდა და გელჰორნს გადახვევის საშუალებას არ აძლევდა. თუმცა, ის არც აპირებდა გადახვევას.

- ასეთი ბლეფით ვერ შემაშინებენ. ავტომატობუსი მანქანაზე ხუთჯერ მძიმეა, კნუტივით გადავაგდებ გზიდან.

ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა. გელჰორნს ვერაფერი გააჩერებდა. ჩემი მხრიდან ფანჯარა გავაღე, თავი გადავყავი და დავიყვირე:

- გზიდან გადადი, სალი!

ყვირილი მუხრუჭების ჭრიალმა ჩაახშო. წინ გადავვარდი. გელჰორნი საჭეს შეასკდა და სული შეეხუთა.

- რა მოხდა? - ვიკითხე მე. სულელური კითხვა იყო. რა უნდა მომხდარიყო, გავჩერდით. სალისგან ავტომატობუსს ხუთი იარდი აშორებდა.

გელჰორნი მართვის პანელს უჩხიკინებდა:

- დაიძარი, დაიძარი!

- თქვენ ისეთი ვაი-ექსპერტი ბრძანდებით, რომ ნებისმიერ მექანიზმს მოშლით. ნულარ გეგონებათ ამ დასახიჩრებული ძრავის იმედი.

გელჰორნი ნახდეურია სახით მომატრიალდა და მუშტი მოიღერა.

- ეს შენი უკანასკნელი სასარგებლო რჩევაა, ბებერო.

დავინახე, როგორ მომიშვირა იარაღი და უკან დავიხიე. უეცრად, კარი გაიღო. ავტომატობუსიდან გადმოვვარდი და ასფალტზე დავენარცხე. კარი ისევ დაიხურა. ოთხზე დავდექი და ზევით ავიხედე. დავინახე, როგორ ეჭიდებოდა გელჰორნი ჩაკეტილ ფანჯარას. მერე პისტოლეტი დაიმიზნა, მაგრამ გასროლა ვეღარ მოასწრო, - ავტომატობუსი ადგილიდან მოწყდა და ღამის წყვდიადში გაუჩინარდა.

თავზარდაცემული გზაზე ვიჯექი. სუნთქვა მიჭირდა. კარი გამიღო. რამდენიმე წელია სალიში არავინ მჯდარა - რა თქმა უნდა, გელჰორნის გარდა - და ვიცოდი, როგორ უფრთხილდებოდა იგი თავისუფლებას. დავუფასე მისი თავაზიანობა, მაგრამ უარი ვუთხარი:

- გმადლობ, სალი, მაგრამ ჯობს ახალ მანქანებს.

ძლივს წამოვდექი და გავტრიალდი, მაგრამ მან წრე შემოხაზა და ისევ ჩემს წინ გაჩერდა. აღარ ვაწყენინე. წინა სკამზე დავჯექი და საზურგე ბალიშებზე გადავწექი. ჩემმა ბიჭებმა და გოგოებმა სახლამდე სწრაფად მიმაქროლეს.

მეორე დღეს, აღშფოთებულმა მისის ჰესტერმა რადიოშეტყობინების ამონაბეჭდი მომიტანა.

- გახსოვთ, მისტერ გელჰორნი, აქ რომ იყო ამ რამდენიმე დღის წინ?

- რა დაემართა? - ცუდი წინათგრძნობა დამეუფლა.

- მკვდარი ნახეს.

- იქნებ ის არ არის?

- რაიმონდ ჯ. გელჰორნი. შეუძლებელია ორ კაცს ერქვას ასეთი სახელი. აღწერილობაც ემთხვევა. ღმერთო, რა საშინელი სიკვდილია! საბურავების კვალი იპოვეს საცოდავზე. წარმოგიდგენიათ? კიდევ კარგი, ავტომატობუსის ანაბეჭდებია, თორემ ჩვენითაც დაინტერესდებოდა გამოძიება.

- ახლოს მოხდა ეს ამბავი?

- არა, კეკსვილთან. თუ დაწვრილებით გაინტერესებთ, თავად წაიკითხეთ... ჯუზეპეს რაღა შეემთხვა?

ჯუზეპე მოთმინებით ელოდა, როდის მოვრჩებოდი მის კაპოტზე ნაკაწრის გადაღებვას. საქარე მინა უკვე გამოცვლილი მქონდა.

მისის ჰესტერის წასვლის შემდეგ ყურადღებით წავიკითხე ამონაბეჭდი. ექიმის დასკვნის მიხედვით, გელჰორნს სიკვდილის წინ სირბილისაგან ქანცი ჰქონდა გაცლილი. წარმოვიდგინე, რამდენი მილი არბენინა ავტომატობუსმა, სანამ მოკლა.

ინფორმაციას რედაქციის დანართი მოყვებოდა. მასში ნათქვამი იყო, რომ წლის განმავლობაში ეს პირველი ავტოსაგზაო შემთხვევაა შტატში. რედაქტორი მკაცრად გვახსენებდა ღამის საათებში მანქანის ხელით მართვის დაუშვებლობას.

გელჰორნის სამი თანამზრახველი სტატიაში არ იყო მოხსენიებული. ბედს მადლობა ვუთხარი: - არც ერთი ჩემი მანქანა არ აყვა მკვლელობის ცდუნებას.

მეტი არაფერი ეწერა. ამონაბეჭდი ხელიდან გამივარდა. გელჰორნი ნაძირალა იყო და ბარბაროსულად ეპყრობოდა მანქანებს. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ სიკვდილის ღირსი იყო, მაგრამ მზარავდა იმის წარმოდგენა, თუ რა საშინლად მოკვდა.

მას შემდეგ თვე გავიდა. ახლა ჩემთვის ნათელია, რომ მანქანებს შეუძლიათ ერთმანეთში ლაპარაკი. ამაში ეჭვი აღარ მეპარება. იმ ამბის შემდეგ ამას აღარც მალავენ. მათ ძრავებში კაკუნის ხმა აღარ წყდება.

ისინი მხოლოდ ერთმანეთში როდი საუბრობენ. ფერმაში მოსულ უცხო მანქანებთანაც აბამენ მუსაიფს.

და რაც მთავარია, ყველა მანქანას ესმის მათი. გელჰორნის ავტომატობუსმაც გაუგო, თუმცა გარაჟთან საათზე მეტ ხანს არ მდგარა. თვალებს ვხუჭავ და მესახება ტრასაზე ჩვენი დევნის სურათი: ორი სედანით გარემოცული ავტომატობუსი. სწორედ სედანებთან მისი საუბრის შემდეგ მოხდა ჩემი გათავისუფლება და გელჰორნის გატაცება. გასცეს თუ არა ჩემმა მანქანებმა მოკვლის ბრძანება, ეს აღარ ვიცი.

ნუთუ შეიძლება, რომ რობოტს მკვლელობის სურვილი გაუჩნდეს? პოზიტრონული ტვინის შემქმნელები იძახიან, არაო. ნუთუ ყველაფერი გაითვალისწინეს? ცუდი მოგონების შემთხვევაში მასაც შეიძლება გაუჩნდეს მოთმინების ფიალა.

ზოგი ავტომობილი ფერმაში მოდის და გვაკვირდება. იგებს, რომ არსებობს ბედნიერი მანქანები, რომლეთა მოტორიც არასოდეს ითიშება, რომლებსაც არავინ მართავს...

ამ ამბავს, ალბათ, სხვებს უამბობს. ხმა სწრაფად გავრცელდება და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ყველამ ჩემი მანქანებივით მოისურვოს ცხოვრება. არა მგონია, რომ ფინანსურ წრეებს ეს მოეწონოთ - ამგვარ ცხოვრებას ხომ ფულიც სჭირდება. ყველა ავტომობილს კი არ ჰყავს მდიდარი პატრონი.

დედამიწაზე ათობით მილიონი მანქანაა. თუკი ისინი ჩათვლიან რომ მონები არიან... თუკი არ შეეგუებიან ამას... თუკი ამოქმედდებიან...

ალბათ, ყველას არ დავეხმარებით - ვიღაცა ხომ უნდა მოემსახუროს?

თუმცა, შეიძლება, სულაც გაგვიწყვიტონ. ვინ იცის, იქნებ, თავისუფლებას მოწყურებულნი სხვა არაფერზე დაფიქრდნენ.

ყოველ დილით ვიღვიძებ და ვფიქრობ: ნუთუ, დღეს?

ახლა ისე აღარ მიხარია ჩემი მანქანებთან ყოფნა. სალისაც გავურბივარ.



# სააგარაკო ცხოვრების აუტანელი სიმსუბუქე

ნატა ამილახვარი

**ეპიზოდი 2 - შინდისი - წავკისი**

ამ ორ სოფელს წყნეთთან და კოჯორთან შედარებით სააგარაკო ცხოვრების მცირე გამოცდილება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სოფლებს სულ რამდენიმე ასეული მეტრი აშორებს ერთმანეთისაგან, წავკისს უფრო პრესტიჟული ადგილის სტატუსი უჭირავს. ზღვის დონიდან მათ შორის სიმაღლის სხვაობა კი წავკისის სასარგებლოდ 80 მეტრს შეადგენს. თბილისისაგან სოფლებს დაახლოებით 15 კილომეტრი (რკინიგზის სადგურიდან) აშორებს.

წავკისის უდავო უპირატესობას წყლით უკეთესი მომარაგებაც წარმოადგენს. გარდა ამისა, შინდისში, წავკისისაგან განსხვავებით, არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი. ერთი სიტყვით, წავკისში კომფორტულ სააგარაკო ცხოვრებას უფრო მარტივად მოიწყობთ, თუმცა შინდისში დასვენება შედარებით იაფია.

წყალი შინდისს 2-3 დღეში ერთხელ მიეწოდება, მაცხოვრებლები ამ უწესობას წყლის ავზებითა და ეზოში მოწყობილი ჭებით ებრძვიან. ხშირ შემთხვევაში საბანაოდ წყლის გაცხელება მოგიწევთ, ხოლო გაზის ბალონის ქალაქიდან წამოღებას ვერანაირად ვერ ასცდებით. ელექტროენერგიით ეს სოფლები ისევე მარაგდება, როგორც თბილისი. ზაფხულში პრობლემები ამ მხრივ ნაკლებად არის მოსალოდნელი.

წავკისში წყლის პრობლემა ნაკლებად შეგაწუხებთ, ცხელი წყალიც გაზის ან ელექტროგამაცხელებლის დახმარებით გექნებათ. იზოლირებული სააბაზანოთი სარგებლობის პრივილეგია კი მოაგარაკეების ბიუჯეტს ზედმეტი 150-200 დოლარით დააზარალებს. შესაბამისად, კომფორტულ 2-3 ოთახს ერთ სართულზე იზოლირებული სამზარეულოთი და სველი წერტილებით, მთელი სეზონით, 700 - 1000 დოლარად იქირავებთ. სახლის პატრონთან საზიარო სააბაზანო და საპირფარეშო ეზოში, ამ თანხას საგრძნობლად შეამცირებს.

შინდისში კეთილმოწყობილ ოთახს სამზარეულოთი ორი თვით დაახლოებით 200 დოლარად მოძებნით, მთელს სართულს კი, შესაბამისად 3-4 ოთახს, 800 დოლარად. საერთოდ, სახლის პატრონი შეეცდება, რაც შეიძლება მეტი ფართი გააქირაოს, ამიტომ, თუ თქვენს მიერ ამორჩეულ ოთახებს კიდევ ორი ესაზღვრება, ნუ იფიქრებთ, რომ სართულზე გრილ ზაფხულს, სრულ მარტოობასა და ნეტარებაში გაატარებთ (თუმცა, შეიძლება ასეც მოხდეს). მოულოდნელი, სასიამოვნო ან უსიამოვნო სააგარაკო მეზობლებისაგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალება არსებობს - დაფიქრდით, თქვენი ახლობლებიდან ვინ შეიძლება გამოდგეს ყველაზე კომფორტულ სააგარაკო მეგობრად და ზაფხულის გეგმები ერთად დასახეთ. თუ ასეთი არ გეგულებათ, ბედს მიენდეთ და ვინ იცის, შეიძლება აგარაკზე დაწყებული ურთიერთობა დიდ მეგობრობაშიც გადაიზარდოს. ურიგო არ იქნება, ეს საკითხი სახლის პატრონს შეუთანხმოთ, სთხოვოთ, რომ მაქსიმალურად ხელი შეგიწყოთ. თუ პატარა გყავთ, რომლის რეჟიმის განუყოფელი ნაწილი დღეში ორჯერ გამოძინებაა, მეზობლის ხმაურიანი ბავშვები ამ თავისებურებას ნაკლებად გაითვალისწინებენ.

მთელი სახლის დაქირავება შინდისში, წავკისისაგან განსხვავებით, გაგიჭირდებათ. წავკისში კი ეს უმეტესად თბილისელების აგარაკებია. ორსართულიანი, ყოველმხრივ კეთილმოწყობილი სახლის ფასი მთელი სეზონისათვის დაახლოებით 2000 დოლარს შეადგენს, ხანდახან მეტსაც, ინტერიერს გააჩნია.

წავკისისა და შინდისის გასაყარზე ზაფხულობით პატარა ბაზარი იმართება, გარდა ამისა, ავტომაღაზიაც მოგემსახურებათ. ორივე სოფელში შერეული მაღაზიებიც არის და ჯიხურებიც. ფასები თბილისურისგან შეიძლება 10 - 20 თეთრით განსხვავდებოდეს.

თბილისიდან შინდისი - წავკისში მოხვედრა სამარშრუტო ტაქსებით კოლმეურნეობის მოედნიდან შეიძლება. მანქანები დაახლოებით ყოველ ნახევარ საათში გადის. პირველი რეისი თბილისისაკენ დილის 7 საათზეა. ქალაქიდან აგარაკზე მოხვედრას კი ამ ტრანსპორტით საღამოს 9 საათამდე მოახერხებთ. მგზავრობის ფასი 70 თეთრია.

**ეპიზოდი 3 - ტაბახმელა**

ტაბახმელა შინდისისაგან საყოფაცხოვრებო პირობებით დიდად არ განსხვავდება. წყალი ამ სოფელსაც ცუდად მიეწოდება, თუმცა ბუნებრივი აირი სოფლის ნაწილს გაყვანილი აქვს. ბინების ფასები აქ ისეთივეა, როგორც შინდისში. მთელი სახლის აღება აქაც გაგიჭირდებათ - თბილისელების აგარაკები ნაკლებად არის. თუმცა, თუ მოინდომებთ და სოფელს გულდასმით მოივლით, სახლის მოძებნას გაცილებით დაბალ ფასში მოახერხებთ, ვიდრე წავკისში, მაგრამ არჩევანი აქ უფრო მწირია.

უნდა ითქვას, რომ ეს ფასები ფიქსირებული არ არის. მორიგება სახლის პატრონთან ყოველთვის შეიძლება. ზაფხულის მიწურულთან ერთად გეომეტრიული პროგრესიით ეცემა ფასები. აგარაკის შერჩევისას შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტი სახლი დაათვალიეროთ; ასე შანსები, რომ თქვენი ფინანსების შესაბამისად რამეს ღირებულს მონახავთ, იზრდება.

ტაბახმელას, შინდისის და წავკისის ადგილობრივი მოსახლეობის სახლების ეზოებს საერთო თავისებურება აქვს - სათბურები. ეს ნაგებობა, როგორც წესი, პატრონებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ეზოს საგრძნობ ნაწილს იკავებს.

რაც შეეხება პერსპექტივებს სააგარაკო საღამოსათვის, ამ სოფლებში გართობის საშუალებები თანაბარია - ბანქოს თამაში მეზობლებთან, მეგობრებთან ერთად სოფლის ქუჩების შემოვლა მზესუმზირის ყიდვის მიზნით და შემდეგ ამ შენაძენის ერთად განადგურება. თუ არ ჩავთვლით შინდისის შესასვლელთან მშენებარე კაზინოს, რომელიც ჯერ არ ფუნქციონირებს, არჩევანი არც ისე მდიდარია. ფეხით ტყისკენ გასეირნებას ვერც ერთ ამ სოფელში ვერ მოახერხებთ იმ მიზეზის გამო, რომ კოჯრის ტყის, ან თუნდაც წყნეთის ფიჭვნარის მსგავსი აქ არაფერი არსებობს.



*ეს კოტეჯი, შეგიძლიათ, იქირავოთ*



*წავკისში კომფორტს უფრო მარტივად მოიწყობთ*

გოგიტა ბუხაიძის ფოტოები




## TV პროგრამა 23 ივნისი

### რუსთავი - 2

| | |
|---|---|
| 08.00 | მუსიკა |
| 09.00 | კურიერი |
| 09.15 | მულტსერიალი |
| 10.45 | "ოქროს ვარდის გამოქვაბული" |
| 11.15 | სერიალი "ნიკიტა" |
| 12.10 | მხ.ფილმი |
| 13.50 | სიმფსონები |
| 14.20 | მხ. ფილმი |
| 16.50 | ჯაზი |
| 18.00, 00.20 | კურიერი |
| 18.20 | ქართული ფილმი |
| 19.50 | დოკ. ფილმი "ველური ბუნება" |
| 21.00 | 60 წუთი |
| 22.25 | ჩვენი ეზო |
| 22.45 | "ჯეოსელის კინოკლუბი". "ტურა", "მაიმუნის ძვალი", "დრაკონის კოცნა" |
| 00.30 | მხ.ფ. "ლოლიტა" მთ.როლებში: ჯერემი აირონსი, მელანი გრიფიტი |

### პირველი არხი

| | |
|---|---|
| 08.00, 15.00, 20.00, 00.00 | "მოამბე" |
| 08.15 | მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" |
| 08.40 | მელომანია |
| 09.10 | "მსოფლიოს ველური ბუნება" |
| 10.00 | დილის პაემანი |
| 11.05 | მხიარული კარუსელი |
| 11.40 | ფალავანი |
| 12.00 | მსოფლიოს ახალი ამბები |
| 12.15 | "სპა" |
| 12.40 | "თბილისი და თბილისელები" |
| 13.05 | "მეტრო" |
| 13.35 | "გლობუსი" |
| 14.05 | "ბავშვები უპირველეს ყოვლისა" |
| 14.20 | მიწის პროექტი საქართველოში |
| 14.35 | "ამბები ჩვენზე" |
| 15.15 | მხ. ფილმი "მამა მივლინებაშია" |
| 17.35 | "ჰოლივუდის ვარსკვლავები" (პოლ ნიუმანი) |
| 18.00 | საკვირაო გამოფენა |
| 18.15 | "ბავშვთა უფლებების კონვენცია" |
| 18.35 | "მაღალი მოდის სამყარო" |
| 19.25 | "ჩვენი მისამართია" |
| 20.25 | "საქართველო არის ესე" |
| 21.00 | ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი (22 ივნისის ვიდეოჩანაწერი) |
| 22.45 | ენა დედაა ერისა |
| 23.10 | "მიამბეთ თქვენზე" |
| 00.10 | დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე" |
| 00.30 | მხ.ფ. "შეშლილი სესილი" |

### მეორე არხი

| | |
|---|---|
| 19.00 | ფეხბურთი. |
| 21.00 | მშვიდობით მე-20 საუკუნევ! |
| 21.45 | ვარსკვლავები გვამცნობენ |
| 22.00 | შვიდეული |
| 23.00 | მხ.ფილმი "გველის კოცნა" |

### ევრიკა

| | |
|---|---|
| 11.00 | ცისკრის ზარები |
| 11.05 | მუსიკალური კოლაჟი |
| 12.00 | თეატრალური შეხვედრები |
| 13.25 | თბილისური ოჯახები |
| 14.10 | მუსიკა |
| 15.00, 21.00 | ვესტი |
| 15.30 | საოცარი პირამიდა |
| 17.00 | სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება |
| 17.20 | საეკლესიო კალენდარი |
| 17.35 | საუბრები ბიბლიაზე |
| 19.00 | თქვენი აზრით... |
| 19.20 | ჩვენი თაობა |
| 20.00 | თავისუფალი მიკროფონი |
| 20.15 | მოგზაურობა ბავშვობაში |
| 20.30 | იქ, სადაც სიყვარულია... |
| 22.10 | "იდენ ტვ" |
| 22.40 | მსოფლიო სპორტი |
| 23.40 | მხ. ფილმი "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" |

### იბერია

| | |
|---|---|
| | მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია |
| 08.00, 20.00 | ანონსი, მულტფილმი |
| 08.15, 20.15 | აღსავალი |
| 08.20, 10.20, 11.55, 20.20, 22.10, 23.55 | მუსიკა |
| 08.25 | მხ.ფ. "დუბლიორი" |
| 10.30 | მხ.ფ. "დაქირავებული მკვლელის დღიური" |
| 20.25 | მხ.ფ. "რიკოშეტი" |
| 22.20 | მხ.ფ. "ლტოლვილი იმ სამყაროდან" |

### პირველი სტერეო

| | |
|---|---|
| 07.30 | "მადლიანი ცნობა" |
| 10.00 | მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" |
| 13.00 | "პრეს-პრესი" განმეორებით |
| 14.00 | "სწ.მედია" მხ.ფ. "ექიმი დულიტლი 2" |
| 16.00 | "უცნობი" განმეორებით |
| 17.00 | ათეული |
| 18.00 | "სოლო" განმეორებით |
| 19.00 | მუსიკა |
| 20.00 | მო |
| 22.00 | ინფორმატორი |
| 22.20 | რეკლამის ათეული |
| 23.00 | "ცენტრი" |
| 00.00 | "ბრავო" მხ.ფ. "სექსუალური არარაობა". მთ. როლში რეი უინსტონი |
| 01.55 | ღამურა "რომანსი ჩ". მთ. როლებში კაროლინ დიუესი, საგამორ სტევენი |
| 03.15 | ნონ-სტოპი |

### კავკასია

| | |
|---|---|
| 12.00 | ინდ. მხ.ფილმი "შენ ხარ ჩემს გულში" |
| 14.45 | მხ.ფ. "აფრიკიდან" |
| 17.20 | მხ.ფ. "მგლის საქმე" |
| 19.30 | მულტფილმი |
| 20.20 | ჯაზ-პარნასი |
| 21.00 | მხ.ფ. "სპარტაკი" |
| 23.50 | მხ.ფ. "ეშმაკისეულნი" |

### მეცხრე არხი

| | |
|---|---|
| 09.00 | საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" |
| 09.20, 18.40, 20.50, 23.50 | მუსიკა |
| 09.35 | მულტფილმი "მხიარული მელოდიები" |
| 10.00, 15.00 | "დილა" |
| 11.20 | გადაცემა "ჭკუის კოლოფი" |
| 12.00, 14.10, 18.35 | დისქავერი |
| 12.30 | გადაცემა "საუბრები სტუდიაში" |
| 13.20 | მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური" |
| 16.20 | მხ.ფილმი "ოლივერი" მთ. როლებში მარკ ლესტერი, რონ მოდი |
| 19.00 | მაცაცერა |
| 19.10 | მულტფილმი "ტომი და ჯერი" |
| 19.30 | მსოფლიო ფეხბურთი |
| 20.00 | სად? რა? როდის? |
| 21.00 | მსოფლიო ჩემპიონატის დღიური |
| 21.10 | მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური" |
| 22.00 | მხ.ფ. "ჯაჭვური რეაქცია". მთ. როლებში კიანუ რივზი, მორგან ფრიმანი |
| 00.10 | მხ.ფ. "ქალის სურნელი". მთ. როლში ალ პაჩინო |

### აჭარის ტელევიზია

| | |
|---|---|
| 09.00, 03.00 | საინფორმაციო დაიჯესტი |
| 09.30 | "მსოფლიოს თასი-2002" |
| 09.40 | "ფოკუსი" |
| 10.00 | სათავგადასავლო ფილმი "ჩემი ძაღლი გინგო" |
| 11.25 | "პერსონა" |
| 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 | საინფორმაციო გამოშვება |
| 12.15 | "Улово" |
| 12.45 | "ყველანი ვართ პატარები" |
| 12.55 | მხატვრული ფილმი "პერლ-ჰალგორი" |
| 16.15 | მულტფილი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" |
| 17.35 | მელოდრამა "წარმატების საფასური" |
| 19.20 | თრილერი "მისისიპის მოჩვენებანი" |
| 22.00 | საინფორმაციო გამოშვება |
| 22.30 | " Новости в воскресенье" |
| 22.50 | "Шаг за шагом» |
| 23.00 | "მსოფლიოს თასი-2002" |
| 00.20 | ისტორიული ფილმი "რანი" |
| 03.30 | მხატვრული ფილმი "იარდები" |

### VII არხი

| | |
|---|---|
| 16.30, 19.50,22.30,01,55 | ანონსი |
| 16.35,21.50 | ამინდის პროგნოზი |
| 16.50,20.40 | აფიშა |
| 17.00 | ფორმულა-1. ევროპის გრან-პრი. |
| 18.30 | "ლა-ლა-ლა" |
| 19.00 | "აჩიკუდა" |
| 19.25 | "სახლიდან გაუსვლელად" |
| 19.45 | მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა |
| 20.30 | "ავტოტრეკინგი" |
| 21.25 | "სახლიდან გაუსვლელად" |
| 21.40 | რაგბი. ავსტრალია - საფრანგეთი 1 |
| 23.00 | მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "მისტერ პიტკინი მტრის ზურგში" |
| 00.25 | "სახლიდან გაუსვლელად" |
| 01.05 | მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "ფანფან ტულპანი" |
| 02.40 | პრესის მიმოხილვა |

### ОРТ

| | |
|---|---|
| 07.20 | х.ф. "ЗВЕЗДА" |
| 09.00, 11.00, 16.00, 19.00 | Новости. |
| 09.10 | Служу России! |
| 09.40, 15.30 | Дисней-клуб |
| 10.05 | сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО" |
| 11.10 | "Непутевые заметки" |
| 11.30 | Пока все дома. |
| 12.05 | КВН-2002 |
| 14.10 | Клуб путешественников. |
| 14.50 | Сами с усами |
| 16.10 | х.ф. "ЧЕЛОВЕК, КОТОРОГО Я ЛЮБЛЮ". |
| 18.05 | Живая природа. "Голубая бездна" |
| 19.15 | "От Звезды до креста" спецрепортаж. |
| 19.35 | х.ф. "ИГРА В ЧЕТЫРЕ РУКИ" |
| 21.30 | х.ф. "ДОСТАТЬ КОРОТЫШКУ" |
| 23.30 | Времена |
| 00.45 | Дневник Московского кинофестиваля. |
| 01.00 | х.ф. "ПОД ВУЛКАНОМ". |

### РТР

| | |
|---|---|
| 07.25 | Фильм "АТТЕСТАТ ЗРЕЛОСТИ" |
| 08.55 | Сериал "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ" |
| 09.50 | Русское лото |
| 10.40 | "ТВ-Бинго шоу" |
| 11.20 | Доброе утро, страна! |
| 11.55 | Сам себе режиссер |
| 12.55 | "Городок" |
| 13.25 | х.ф. "БУДНИ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА" |
| 15.00 | Вести. |
| 15.20 | Парламентский час. |
| 16.05 | Диалоги о животных |
| 17.00 | Вокруг света |
| 17.50 | ТВ Бинго новости |
| 17.55 | "Комната смеха" |
| 18.55 | х.ф. "ДРУГИЕ 48 ЧАСОВ" (США) |
| 21.00 | Вести недели. |
| 22.10 | Аншлаг |
| 23.15 | х.ф. "ПРИЗРАК И ТЬМА" |
| 01.30 | Чемпионат мира по автогонкам "Формула-1". Гран-при Европы. |

### НТВ

| | |
|---|---|
| 07.30 | Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО" 2-3 с. |
| 09.00, 11.00, 13.00, 17.00 | Сегодня. |
| 09.15 | Вкусные истории. |
| 09.25 | фильм "ТАИНСТВЕННЫЙ ОСТРОВ" |
| 11.15 | фильм "ОХОТА НА ЗОЛУШКУ". 2-я с. |
| 12.20 | "Растительная жизнь" |
| 13.20 | фильм "ЗА ДВУМЯ ЗАЙЦАМИ" |
| 15.00 | Вкусные истории. |
| 15.20 | Служба спасения. |
| 16.00 | Своя игра. |
| 17.20 | Профессия -репортер. |
| 17.45 | "Я и моя собака" |
| 18.35 | Женский взгляд |
| 19.10 | Очная ставка |
| 19.45 | Шоу Елены Степаненко. |
| 20.45 | фильм "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА" 1-я с. |
| 22.00 | "Намедни" |
| 23.15 | Куклы. |
| 23.35 | Фильм "ИЗБЫТОЧНАЯ СИЛА-2" (США) |
| 01.30 | Фильм "НЕ ПЕРЕСТУПИВ ЧЕРТУ" (США) |
| 02.20 | Пепси-чарт. |

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"